კიშინიოვის სამიტის წინ - კოლექტიური რუტინისა და ორმხრივი შერკინებების მოლოდინში A3

გაერთიანებული ენერგოკომპანია საბითუმო ბაზარს გვერდს აუვლის A3

რას მიიღებს რუსეთი ჰუსეინის თავის სანაცვლოდ A3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | კვირა, 6 ოქტომბერი, 2002 წელი. №126 | ფასი 50 თეთრი

## ევროსაბჭო ჩეჩნების გადაცემის წინააღმდეგია

ინგა ალავიძე

რუსეთის გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, თბილისის აეროპორტიდან გუშინწინ ექსტრადირებული 5 ჩეჩენი რუსეთის სპეცჯგუფს გადაეცა. ბრალდებულები სპეცრეისით მინერალური წყლების აეროპორტში ჩაიყვანეს, საიდანაც ისინი სტავროპოლის ოლქის საგამოძიებო იზოლატორებში გაანაწილეს.

რუსეთის გენერალური პროკურატურის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის სამმართველოს წარმომადგენლის ვლადიმირ კრავჩენკოს განცხადებით, პროკურატურას ახლა უკვე საშუალება აქვს, ჩაატაროს საქმის სრულყოფილი გამოძიება.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ქართველი და რუსი ჟურნალისტების დიალოგი გელაევის ალყაში

პაატა ვეშაპიძე

- ბაკურიანი აქედან შორს არის? - კითხულობს მოსკოველი ჟურნალისტი.

- არა, აქვეა, ოციოდე კილომეტრი თუ იქნება.

- ჯავახეთი?

- ჯავახეთი აქედან იწყება.

- მართლა? გამოდის, რომ გელაევის ალყაში ვართ.

ეს დიალოგი გუშინ ლიკანის სამკურნალო-დასასვენებელი კომპლექსის ეზოში შედგა. აქ, ერთმანეთთან სასაუბროდ ქართველი და რუსი ჟურნალისტები სწორედ ახლა შეიკრიბნენ, როდესაც მათი ქვეყნები, პრაქტიკულად, ომის ზღვარზე აღმოჩნდნენ.

"სოროსის ფონდის" ხელშეწყობით ორგანიზებული კონფერენცია მიზნად არ ისახავს რაიმე სპეციალური დოკუმენტის მიღებას, თუნდაც, მიმართვის სახით. უბრალოდ, მისი მიზანია იმ ადამიანთა პირისპირ შეხვედრა, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა ინფორმაციის ტირაჟირება და ამით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენა. კონფერენციას ასეც ჰქვია: "რუსეთი და საქართველო - დიალოგი კავკასიონის გაღმა-გამოღმა".

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მოსკოვიდან ჩამოსული ყველა ჟურნალისტი (სულ 12), უაღრესად ინფორმირებული და, აქედან გამომდინარე, მოვლენათა აკვიატებული, ცალმხრივი შეფასებისგან მთლიანად თავისუფალი აღმოჩნდა. ამიტომაც, მათი პოზიცია და მსჯელობა იყო ობიექტური, მრავალმხრივი და სულაც არ ჰგავდა იმ პროპაგანდისტულ უნისონს, რომელიც რუსეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დიდი უმრავლესობიდან ისმის ბოლო თვეების განმავლობაში.

ეს, რასაკვირველია, რუსეთის მხრიდან კონფერენციაში მონაწილე ჟურნალისტთა შერჩევამაც განაპირობა. "მოსკოვის ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის" (რომელიც ერთ-ერთი ორგანიზატორია კონფერენციისა) ხელმძღვანელმა ოლეგ პანფილოვმა ქართველ კოლეგებთან შესახვედრად სახელისუფლებო გავლენისგან თავისუფალი ჟურნალისტები შეარჩია. შემადგენლობა ერთობ წარმომადგენლობითი გამოვიდა. ამის დასტურად რუსულ მედიაში ოდნავ მაინც გათვითცნობიერებული ადამიანისთვის რამდენიმე სახელის ხსენებაც კმარა: ანა პოლიტკოვსკაია ("ნოვაია გაზეტას" მიმომხილველი),

გაგრძელება A2 გვერდზე

## მეტალურგიული კომბინატი 240 მილიონად გაიყიდა



ირაკლი ჟორდანია მომავალ მფლობელს - ანჟელა კორნას მეტალურგიულ ქარხანას ათვალიერებინებს.

მაია მოსიაშვილი

7-წლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ რუსთავის მეტალურგიულმა კომბინატმა მუშაობა განაახლა. პირველი პროდუქციის პრეზენტაციას ქარხნის იტალიელი ინვესტორებიც დაესწრნენ - "არეს იმპორტ-ექსპორტის" პრეზიდენტი ანჟელა კორნა და "ლუჩინის" წარმომადგენელი ალექსანდრ სერგეევი, აგრეთვე ამ სამრეწველო საფინანსო ჯგუფის ორი გავლენიანი ბანკის, გერმანული ფირმა "ფუკსის", იტალიური "სანჩინელისა" და რუსული "იტერას" წარმომადგენლები.

პრეზენტაციას ქართული ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან არავინ დასწრებია, თუ არ ჩავთვლით გვიან მოსულ და მალევე გაქცეულ ქონების მართვის მინისტრს, რომელმაც, როგორც ჩანს, არც იცოდა, რომ ქართული მხარე იმ დღეს ისტორიული ხელშეკრულების ხელისმოწერას აპირებდა, რომლის თანახმად ქარხნის აქტივები, სასამართლო წესით, იტალიური მხარის განკარგულებაში გადადიოდა.

მთელი სიმძლავრით მომუშავე დგან-140-ის დათვალიერების შემდეგ გამართულ პრესკონფერეციაზე "ლუჩინის" წარმომადგენელმა ანჟელა კორნას სახელით ვრცლად ისაუბრა კომბინატის ქართულ-იტალიურ მომავალზე.

მანამდე კი კომბინატის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ჟორდანიამ ასეთი განცხადება გააკეთა:

"პრაქტიკულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ბედი უკვე გადაწყვეტილია. ჩვენი დიდი ძალისხმევის შედეგად მოვიდა ინვესტორი, ეს არის იტალიური დიდი სამრეწველო-საფინანსო ჯგუფი. 2 მილიონი დოლარი მათ უკვე დახარჯეს. უახლოეს 4-5 წელიწადში ისინი წამოების განვითარებაში კიდევ 130 მილიონ დოლარს ჩადებენ."

"24 საათი": ეს იმას ნიშნავს, რომ კომბინატის მათთვის მიყიდვის პროცედურა დაიწყება?

ჟორდანია: "დაიწყება კი არა, პრაქტიკულად, უკვე დავამთავრეთ."

რუსთავის მეტელურგიული კომბინატი, ისევე როგორც მისი მეზობელი

გაგრძელება A2 გვერდზე

## სამცხე-ჯავახეთში „ვირქის„ ერთ-ერთი ლიდერი დააპატიმრეს

### ფედი ტოროსიანის აყვანას წინ ჯავახეთში ანტიქართული ხასიათის პროკლამაციების გავრცელება უსწრებდა

ზაზა წულაძე

*ჯავახეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ვირქი", რომელიც ჯავახეთის სომეხი მოსახლეობისთვის საქართველოს შემადგენლობაში, ავტონომიის მოთხოვნით გამოდის, მასობრივი გამოსვლებით იმუქრება, იმ შემთხვევაში, თუ ვერ მიიღებს ზუსტ ახსნა-განმარტებებს, რა მიზეზით იქნა დაპატიმრებული "ვირქის" საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და გავლენიანი აქტივისტი ფედი ტოროსიანი, რომელიც სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პროკუტარურამ, 28 სექტემბერს ახალციხეში, დაკითხვის შემდეგ აიყვანა.* ***"არც ჩვენ, "ვირქის" ხელმძღვანელობამ და არც მისმა ოჯახმა, არ ვიცით, რა დანაშაულისთვის დააპატიმრეს ფედი, ეს გვაფიქრებინებს, რომ იგი, შესაძლოა, პოლიტიკური მიზნით იყოს აყვანილი. დღესაც უამრავი ხალხი ჩამოვიდა ახალქალაქში ფედის განთავისუფლების მოთხოვნით, მაგრამ გვთხოვეს, მიტინგი არ ჩაგვეტარებინა და ჩვენც დროებით თავი შევიკავეთ. სანამ ზუსტ პასუხს არ მივიღებთ, არ ვაპირებთ სიტუაციის გამწვავებას, თუმცა პასუხი უახლოეს დღეებში უნდა მივიღოთ,"*** *– გვითხრა "ვირქის" თავჯდომარის მოადგილემ მელს ტოროსიანმა, რომელსაც "24 საათი" გუშინ ახალქალაქში დაუკავშირდა.*

ფედი ტოროსიანი 1999 წლიდან არის "ვირქის" საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე, 2001 წელს იგი ახალციხის ენერგოკომპანიის ახალქალაქის ფილიალის უფროსად დაინიშნა, თუმცა სამი თვის უკან თანამდებობიდან გაათავისუფლეს. **"როგორც სამცხე-ჯავახეთის უშიშროების სამხარეო განყოფილებიდან მაცნობეს, ტოროსიანს ბრალად ედება ენერგოკომპანიის შემოსავლების დამალვა, საუბარია დაახლოებით 12 ათას ლარზე. ამ საქმეს შინაგან საქმეთა სამინიტრო კარგა ხანია იძიებს, თუმცა ტოროსიანი მხოლოდ რამდენიმე დღის უკან იქნა წინასწარ პატიმრობაში აყვანილი,"**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | ☼ |
| ქუთაისი | 25 | ☼ |
| ბათუმი | 23 | ☼ |
| სოხუმი | 24 | ☼ |
| ფოთი | 23 | ☼ |
| თელავი | 21 | ☼ |
| ზუგდიდი | 25 | ☼ |
| გორი | 19 | ☼ |
| ახმეტა | 21 | ☼ |
| ჭიათურა | 22 | ☼ |
| გაგრა | 23 | ☼ |
| სამტრედია | 24 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.1255 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3805 |
| რუბლი | 0.0680 |
| სომხური დრამი | 0.0037 |
| უკრაინული გრივნა | 0.4043 |

## ხიზრი ალდამოვი პიტერ შოუს გატაცების ფაქტზე დაკითხეს

ინგა ალავიძე

საქართველოში ჩეჩნეთის დიასპორის ხელმძღვანელი გუშინ გენერალურ პროკურატურაში დაიბარეს. იქ ხიზრი ალდამოვი გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელმა მირიან კვეზერელმა და უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელმა სერგო ძაგნიძემ დაკითხეს.

გენერალურ პროკურატურაში დღის 12 საათზე მისულმა ხიზრი ალდამოვმა პროკურატურის წინ საპროტესტო აქციის ჩასატარებლად მისული ჩეჩენი ლტოლვილები დააიმედა. თანამემამულეებისთვის მიცემული პირობით, იგი გენერალურ პროკურორთან დარჩენილი 8 დაკავებულის თაობაზე მოსალაპარაკებლად მიდიოდა.

ალდამოვი პროკურატურიდან რამდენიმე საათის შემდეგ პროკურატურისა და უშიშროების თანამშრომლებმა გამოაცილეს.

**"ნუგზარ გაბრიჩიძეს არ შევხვედრივარ, იგი გასული იყო და ამიტომაც ჩვენი საუბარი ვერ შედგა. ჩემი ინიციატივით შევხვდი პროკურატურის თანამშრომლებს, ვისთან მქონდა საუბარი, არ ვიცი. უბრალოდ, მათ დაველაპარაკე იმის თაობაზე, რაც დღეს ჩეჩნების წინააღმდეგ ხდება. ვისაუბრეთ საქართველოში დარჩენილ 8 დაკავებულზე. მათი ექსტრადიცია არავითარ შემთხვევაში არ მოხდება. თუ ვინ მითხრა ეს, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გეტყვით,"** – განაცხადა ხიზრი ალდამოვმა.



*ხიზრი ალდამოვი საქართველოს დატოვებას აპირებს.*

გაგრძელება A4 გვერდზე

## "პანკისის ოპერაცია ბოლომდეა მისაყვანი - ვინც დასაჭერია, უნდა დაიჭირონ"

### ამბობს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი, რომელსაც მიაჩნია, რომ "პანკისზე ნაკლები კრიმინალური კერა არ არის სამაჩაბლო..."

თამარ ხორბალაძე

*ხუთი ჩეჩნის ექსტრადიცია, რამაც საქართველოს ჩეჩნებთან ძლივს აწყობილ ურთიერთობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა; სამაჩაბლოში ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარების პერსპექტივის გამოჩენა; დასავლეთის გააქტიურება აფხაზეთის მიმართულებით; კიშინიოვის ხვალინდელი სამიტი; ჯერ დაუმთავრებელი პანკისური ოპერაცია და ამ ფონზე ქართული თავდაცვისთვის განკუთვნილი მიზერული საბიუჯეტო სახსრები ის საკითხებია, რომელთა თაობაზეც საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ბათიაშვილის მოსაზრების გაგება ინტერესმოკლებული ნამდვილად არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ რამდენიმე შემთხვევაში იგი ქართველი ოფიციალური პირებისგან გარკვეულწილად განსხვავებულ (და ზოგჯერ მოულოდნელ) პოზიციას აფიქსირებს.*

*დღეს "24 საათი" ირაკლი ბათიაშვილს ზემოთ მოხსენიებულ თემებზე ესაუბრება:*

**- ბატონო ირაკლი, ჩეჩნების ექსტრადაციასთან დაკავშირებით საქართველოში აზრი ორად გაიყო. ამბობენ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა კიშინიოვის სამიტის წინ პოლიტიკურად გამართლებული იყო, მეორეს მხრივ, ამან საქართველოს, შეიძლება, ჩეჩნებთან ურთიერთობა სერიოზულად გაუფუჭოს. თქვენ რომელ პოზიციას იზიარებთ?**

- ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო რუსების გულის მოსაგებად და ამას არ უნდა ჰქონდეს ხასიათი - ერთი ბარტყი გადმომიგდე, თორემ ცულს მოვიტან, ცუნცულასაო...

გაგრძელება A2 გვერდზე

## ინგუშეთის შემდეგ გელაევი დაღესტანს უმიზნებს

გიორგი ხელაშვილი

*გუშინ გავრცელებული ცნობები გელაევის რაზმების დაღესტანში გადასვლის მცდელობის შესახებ ან რუსული საagენტოების მორიგი ბლეფია, ან ჩეჩნების მიერ საომარი მოქმედებების თეატრის მთელ ჩრდილოეთ კავკასიაზე გავრცელების მორიგი მცდელობა.*

რუსული სააგენტოების - "ენ-ტე-ვე"-სა და "გაზეტა"-ს ცნობით, რუსლან გელაევის ორი რაზმი გუშინ მჭიდროდ მიუახლოვდა რუსეთ-საქართველოს საზღვრის დაღესტნის მონაკვეთს. ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებული გაერთიანებული ფედერალური დაჯგუფების სარდლის მოადგილის ბორის პოდოპრიგორას ცნობით, ჩეჩენი მებრძოლები კერიგოს უღელტეხილის მახლობლად იმყოფებიან. მის ხელთ არსებული ოპერატიული ცნობების მიხედვით, გელაევის რაზმებში დაახლოებით ასამდე კაცია შემჩნეული. რუსი სამხედროები ყველა ზომას იღებენ, რათა აღკვეთონ ჩეჩენი მებრძოლების მიერ საზღვრის გადალახვა – "მოცემული მიმართულება საიმედოდაა ჩაკეტილი," – განაცხადა პოდოპრიგორამ.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A3 უცხოეთი | A3 ეკონომიკა | A4 სამართალი

B2 კულტურა | B3 განცხადებები | B4 სხვადასხვა

# სამცხე-ჯავახეთში „ვირქის" ერთ-ერთი ლიდერი დააპატიმრეს

პირველი გვერდიდან

– გვითხრა უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა ნიკა ლალიაშვილმა. ფედი ტოროსიანის დაპატიმრება ჯავახეთში ცალსახად პოლიტიკურ აქციად აღიქვეს, ვინაიდან მას ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს "ვირქის" ლიდერებთან, მათ შორის მელს ტოროსიანთანაც. **"ფედი ტოროსიანს მართლაც კარგი ურთიერთობები აქვს მელსთან, თუ არ ვცდები, ისინი შორეული ნათესავებიც არიან, მაგრამ მე არ მგონია, რომ ეს ფაქტი, ფედის დაპატიმრებასთან რაიმე კავშირში იყოს,"** – გვითხრა პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ახალქალაქიდან მელიქ რაისიანმა.

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი თემურ მოსიაშვილი ტოროსიანის დაკავების გამო რეგიონში სიტუაციის გამწვავებას გამორიცხავს. **"ახალქალაქში ამ ფაქტს არანაირი რეაქცია არ გამოუწვევია. ტოროსიანი არის ექსტრემისტი და თუ მას დანაშაული დაუმტკიცდა, დაისჯება ისევე, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქე დაისჯებოდა. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რომელი პარტიის წევრია იგი,"** – გვითხრა გუბერნატორმა.

საყურადღებოა, რომ ფედი ტოროსიანის დაპატიმრებამდე, ოთხი დღით ადრე, სამცხე-ჯავახეთის მთელ ტერიტორიაზე ანტიქართული შინაარსის პროკლამაციები გავრცელდა. **"საქართველოს შოვინისტური ხელისუფლებისგან ჩვენ მეტს აღარ მოვითმენთ ანტისომხურ მოქმედებებს. პასუხი იქნება ძლიერი და შეუცდომელი. გაფრთხილებთ უკანასკნელად – იყავით გონიერნი და ფრთხილნი, დაანებეთ თავი – ჯავახკს. თუ დაგავიწყდათ, დაიმახსოვრეთ და იცოდეთ: ჯავახკს ჰყავს პატრონი და დამცველი. და თუ არ გესმით – დააბრალეთ საკუთარ თავს,"** – ასეთი შინაარსის პროკლამაციებს ხელს სრულიად უცნობი ორგანიზაცია "ჯავახკის შურისმაძიებლები" აწერდა.

როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ისე "ვირქიც" ამ პროკლამაციებს პროვოკაციულს უწოდებს. **"ეს იყო პროვოკაცია, რომელიც ჩემი აზრით, ახალქალაქში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზიდან მოდის. მათი მიზანია, დააპირისპირონ სომხები და ქართველი მოსახლეობა. მათ მხოლოდ სამი ცალი პროკლამაციის გავრცელება მოახერხეს ნინოწმინდაში,"** – გვითხრა სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა. **"ასეთ სომხურ ორგანიზაციას ჯავახეთში არ არსებობს, ეს არის სპეციალურად შექმნილი ორგანიზაცია, ან სამართალდამცავების, ან რუსეთის, ან თურქეთის გარკვეული ძალების მიერ. ეს იყო აშკარად მოწყობილი აქცია. სინამდვილეს არ შეესაბამება ის, რომ თითქოს მხოლოდ სამი ცალი პროკლამაცია გაავრცელეს. პროკლამაციები თითქმის ყველა სოფელში იქნა გავრცელებული, ადგილობრივი პოლიციის, უშიშროების და გამგეობის შენობებზეც კი გამოკრეს, გამგებელმა თავისი ხელით ჩამოხია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს არის პროვოკაცია, მიმართული რეგიონში მცხოვრები სომხებისა და სომხეთა და ქართველთა ძმობის წინააღმდეგ. ეს არის "ვირქის" პოზიცია. თუ სამართალდამცავები ვერ იპოვნიან ამ ხალხს, მაშინ "ვირქი" თავად ეცდება, იპოვოს და დასაჯოს ისინი,"** – აღნიშნა "ვირქის" ერთ-ერთმა ლიდერმა მელს ტოროსიანმა.

ფედი ტოროსიანის დაპატიმრების და რუსეთის სამხედრო ბაზის საკითხის გარდა, სამცხე-ჯავახეთში კვლავაც აქტუალურია რეგიონში ჩეჩენი ბოევიკების გამოჩენის ფაქტი. ეს ინფორმაცია გასულ კვირას საინფორმაციო ცენტრმა "ა-ინფომ" გაავრცელა, რომელიც 2002 წლის იანვარში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ არის რეგისტრირებული. "ა-ინფოს" ცნობით, "ბოევიკები გამოჩნდნენ ბაკურიანში, აბასთუმანსა და ახალციხეში". **"ჯავახეთში ბოევიკების თემა დღესაც აქტუალურია, ხალხი საუბრობს, თითქოს ჩეჩნები ნახეს ბაკურიანში, ვარძიაში, აბასთუმანში, თუმცა ეს მხოლოდ ზეპირი საუბარია, კონკრეტულად ვინ ნახა, ცნობილი არ არის. ეს არც ოფიციალურ დონეზე დასტურდება. მიმაჩნია, რომ ეს ინფორმაციაც კიდევ ერთი პროვოკაციაა,"** – გვითხრა პარლამენტარმა მელიქ რაისიანმა. რაისიანის თქმით, **"ჯავახეთში ისეთივეა დაძაბულობის ხარისხი, როგორც ყოველთვის იყო, რაიმე განსაკუთრებული დღეს არ ხდება"**.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოსა და რუმინეთს შორის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს ბუქარესტში საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის ჯონი ფირცხალაიშვილის ვიზიტისას. 5 დღის განმავლობაში ფირცხალაიშვილი გამართავს შეხვედრებს რუმინეთის გენშტაბის უფროსთან, არმიის გენერალთან მიხაილ პოპესკუსთან, ეროვნული თავდაცვის მინისტრთან იოან პასკუსთან და ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელთან იოან მირჩეისთან. მოინახულებს სამხედრო ობიექტებსა და ნაწილებს; რუმინეთის სამხედრო ქარხნებს. ქართული მხარე დაინტერესებულია რუმინეთიდან სამხედრო ტექნიკის მოწოდებით. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო აქტიურად ეძებს მესამე ქვეყანას, რომელიც დათანხმდება, მიიღოს პანკისის ხეობაში მყოფი ის ჩეჩენი დევნილები, რომლებსაც არ სურთ სამშობლოში დაბრუნება. როგორც სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი აცხადებს, ამ მიზნით, მომავალ კვირას იგეგმება შეხვედრები აშშ-სა და საბერძნეთის ელჩებთან, რომლებთანაც განიხილება პანკისის ხეობაში მყოფი ჩეჩენი დევნილი მოსახლეობისათვის თავშესაფრის მიცემის შესაძლებლობები. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის თქმით, ჯერჯერობით ქვეყანა, რომელიც მიიღებდა ჩეჩნებს, არ გამოჩენილა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში სამუშაო ვიზიტით აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი საქართველოს საკითხებში ოთარ შალიკაშვილი ჩამოვიდა. ვიზიტისას ნავარაუდევია ორმხრივი ურთიერთობების განხილვა. კერძოდ, აშშ-სა და საქართველოს შორის სამხედრო თანამშრომლობის კონტექსტში "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" მიმდინარეობის შემოწმება. შალიკაშვილი შეხვდება თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას, ასევე თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ედუარდ შევარდნაძე დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების სამიტზე თავის რუს კოლეგას ვლადიმირ პუტინს 50 წლის იუბილისადმი საჩუქარს მიართმევს. "როგორც ჭეშმარიტი ქართველი, მე პუტინს საჩუქარს ვუმზადებ, მაგრამ ეს ჯერ სიურპრიზია," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა რუსი პოეტის, ალექსანდრ გრიბოედოვის ძეგლის ყვავილებით შემკობის ცერემონიალისას. საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში ალექსანდრ გრიბოედოვის საფლავზე სიმბოლურად აღინიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა უწყების დაარსების 200 წლისთავი. რუსეთის ელჩის ვლადიმირ გუდევის თანდასწრებით პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გამოთქვა სურვილი, ახლო მომავალში პუტინს თბილისში უმასპინძლოს. "გადასაწყვეტია უამრავი პრობლემა და ყველა საკითხის განხილვას კიშინიოვის შეხვედრაზე დატვირთული გრაფიკის გამო ვერ მოვახერხებთ. თბილისში კი სასაუბროდ ბევრი დრო და შესაძლებლობა გვექნება," - აღნიშნა პრეზიდენტმა. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**ახალქალაქი.** ჯავახეთის რეგიონში მოქმედი პარტია "ვირქი" უახლოეს მომავალში ყრილობის გამართვას გეგმავს. პარტიის ყრილობა, რომელიც სავარაუდოდ ოქტომბერში გაიმართება, მიეძღვნება "ვირქის" საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის და შემდგომ 2003 წელს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის საკითხს. "ვირქის" ლიდერმა, დავით რტაკიანმა თქვა, რომ ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები და რეგისტრაციის არქონის გამო "ვირქს" არ შეუძლია მათში მონაწილეობა. რეგისტრაციაში გატარების შემთხვევაში, "ვირქს" შესაძლებლობა მიეცემა ყავდეს თავის წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში და ამ გზით დაიცვას ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები სომხების ინტერესი. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**კახეთი.** ევროპის საბჭოს რეგიონების ასამბლეა იხილავს საკითხს ასამბლეაში კახეთის შესვლის შესაძლებლობის შესახებ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ქვეყნის რეგიონები აქტიურად თანამშრომლობენ ამ ორგანიზაციასთან და ეს მხოლოდ მისასალმებელია. კახეთს უკვე აქვს ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებთან. დღეისთვის საქართველოდან ევროსაბჭოს რეგიონების ასამბლეის წევრი უკვე არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და იმერეთის რეგიონი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ბრიუსელი.** საქართველოსთვის ქვეყნის საჰაერო სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფა პრიორიტეტულია და მას შეუძლია შეიძინოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა ნებისმიერი ქვეყნისაგან, - აცხადებს ბრიუსელში ნატო-ს მაღალჩინოსანი, რომელმაც ვინაობის აფიშირება არ ისურვა. წყარომ განაცხადა, რომ ბრიუსელში ვიზიტისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა საქართველოს მზადყოფნაზე - შეიძინოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა უკრაინისაგან. "აღნიშნული პრობლემა ამ ორი ქვეყნის საქმეა და არავის აქვს უფლება, ჩაერიოს მათ ურთიერთობაში," - განაცხადა ნატო-ს ჩინოვნიკმა. მთლიანად სისტემის შესაძენად 12 მილიონი დოლარია საჭირო. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**გროზნო.** ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ვიცე-პრემიერმა ახმედ ზაკაევმა მკვეთრად გააკრიტიკა საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც აგვისტოში საზღვარზე დაკავებული 13 ჩეჩენი მებრძოლიდან 5 რუსეთს გადასცა. ზაკაევის განცხადებაში ნათქვამია, რომ "საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ჟენევის კონვენციების შესაბამისი მუხლების დარღვევა არ მატებს ავტორიტეტს საქართველოს, რომელიც თავად სამართლიანად სთხოვს საერთაშორისო თანამეგობრობას მის დაცვას რუსეთის ზეწოლისაგან". მისი აზრით, თუ ჩეჩნების გადაცემა მიზნად ისახავს რუსეთის სამხედრო წრეების მომადლიერებას კიშინიოვში დაგეგმილი დსთ-ის სამიტის წინ, ეს დიდი შეცდომაა. ჩეჩნების გადაცემა აღქმული იქნება, როგორც შანტაჟის შედეგი და საქართველოს სისუსტის გამოვლინება, - აცხადებს იგი. ახმედ ზაკაევის თქმით, ჩეჩნეთის მთავრობა შიშობს, რომ კავკასიის ქედის ორივე მხარეს არსებული დესტრუქციული ძალები ჩეჩნების გადაცემასთან დაკავშირებულ სიტუაციას ორი მოძმე ხალხის ურთიერთობების გაფუჭებისთვის გამოიყენებენ. **პრაიმ-ნიუსი.**

# "პანკისის ოპერაცია ბოლომდეა მისაყვანი - ვინც დასაჭერია, უნდა დაიჭირონ"

პირველი გვერდიდან

ამ ხუთი ადამიანის ექსტრადიცია დაკავშირებულია ჩვენი ორმხრივი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებასთან, რომელსაც, სხვათა შორის, ჩვენთან მიმართებაში რუსული მხარე არ ასრულებს ხოლმე.

ხუთ კაცზე იმიტომ შეჩერდა არჩევანი, რომ ამ ხუთზე, პროკურატურის ინფორმაციით, არსებობს სხვადასხვა ხასიათის მკვლელობებსა თუ ტერაქტებში ბრალეულობის დამამტკიცებელი სარწმუნო მასალები...

წესით, ეს უნდა იყოს განხილული წმინდა სამართლებრივი კუთხით და, როგორც რუსეთის მოქალაქეები, ჩვენ ისინი უნდა გადავცეთ. მაგრამ, ამ დაძაბულ სიტუაციაში, როცა რუსეთი გვაწვება და გვემუქრება, ამას არ უნდა ჰქონდეს რუსეთისათვის კოჭის გაგორების ხასიათი. ეს დადებითი შედეგის მომტანი არასდროს არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი დღეს კმაყოფილი იქნება საქართველოს ამ ნაბიჯით, საბოლოო ჯამში, ეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს მაინც ვერ გამოასწორებს. არადა, რა თქმა უნდა, ამ ურთიერთობებს გამოსწორება ნამდვილად სჭირდება.

**- მაგრამ ეს დაძაბავს ჩეჩნებთან ურთიერთობას?**

- საერთოდ, როცა ჩეჩენი მოქალაქეების ექსტრადიციაზე მიდგება საქმე, ძალიან ფრთხილი მიდგომაა საჭირო, რადგან ამას, გარდა სამართლებრივისა, აქვს პოლიტიკური ხასიათიც. ფაქტობრივად, ჩვენი რუსეთთან დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ჩვენ გავუფრთხილდით ჩეჩნურ ფაქტორს, შევიფარეთ ისინი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი აფხაზეთში ჩვენს წინააღმდეგ ომობდნენ, ისინი რადიკალურად შემოვატრიალეთ, მათ საქართველოს მისამართით უკვე, კარგის მეტი, არაფერი ეთქმით. სიფრთხილე გამოვიჩინეთ იმავე ანტიკრიმინალური ოპერაციის დროს. ახლა ისე არ უნდა მოხდეს, რომ ერთი ნაბიჯით უცებ ყველაფერს ხაზი გადაესვას. ხომ ხედავთ, უკვე მიტინგი მოეწყო. არიან ელემენტები, ვინც ამ მიმართულებით იმუშავებენ, მათ შორის - რუსეთის აგენტურაც, რომელიც უხვად ჰყავთ ჩეჩენ ლტოლვილებში. შეეცდებიან, დაარწმუნონ ისინი, რომ ქართველებმა ჩეჩნები გაყიდეს. ასეთ გადაწყვეტილებას წინ სერიოზული მოსამზადებელი, განმარტებითი სამუშაო უნდა წაძღოლოდა, მათ შორის, თვითონ ჩეჩენ ლტოლვილებშიც. ამიტომ ჩემი დამოკიდებულება ექსტრადიციის ფაქტისადმი გაორებულია.

**- კიშინიოვის სამიტისგან კონკრეტულ შედეგს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში შემოტრიალებას ელით?**

- ვფიქრობ, რომ ეს დროებით ჩააცხრობს უკიდურეს დაძაბულობას, რომელმაც პიკს მიაღწია და რუსეთისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. მაგრამ სამიტი ამ ურთიერთობებში კარდინალურ ცვლილებას ვერ მოახდენს.

**- ბატონო ირაკლი, დღეს პანკისის პრობლემა განეიტრალებულია? გუშინ საქართველოში ჩამოსულმა ერთ-ერთმა რუსმა ექსპერტმა - პაველ ფელგენგაუერმა განაცხადა, რომ რუსეთის გენერალიტეტს დღესაც პანკისში ერთი შერბენა და უკან გამარჯვებულებად გასვლა ჰაერივით სჭირდება. ასეთი საშიშროება რეალურად ისევ არსებობს?**

- გამორიცხულია, რომ რუსეთმა დღეს პანკისის ხეობაში ჯარის შეყვანის საკითხი დააყენოს. იქ სამხედრო ფაქტორი უკვე მოხსნილია. დღეს ეს ყველამ ნახა. ეს ყველაფერი წარმატებულად გაკეთდა, მაგრამ მე, როგორც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, არა მაქვს უფლება, არ ვთქვა - უნდა აიყვანონ კონკრეტული კრიმინალური ჯგუფები, რომლებიც იქ არიან და ამის შესახებ ყველამ იცის. ვინც დასაჭერია, უნდა დაიჭირონ.

დღეს კარგი წინაპირობაა ამისთვის შექმნილი. იქ აღარ არიან ჩეჩენი ბოევიკები, ანუ არ არის მათთან დაპირისპირების საშიშროება.

იქ არიან კრიმინალური ჯგუფები და უნდა მოვრჩეთ მათთან თამაშს. თუ ეს ბოლომდე არ მივიყვანეთ, ამხელა ფული ტყუილად დაიხარჯება. მერე ეს ჯარი ხომ უნდა გამოვიყვანოთ და პანკისში ისევ ძველებური სიტუაცია იქნება. შემდეგ სხვებიც დაემატებიან იმ ჯგუფებს, მერე კი გვეტყვიან, რომ ჩვენ ვერ დავამყარეთ წესრიგი ჩვენს ტერიტორიაზე და მართლებიც იქნებიან.

**- გასულ კვირას სამაჩაბლოს საკითხი წამოიჭრა ახალ კონტექსტში. ეს ყველაფერი დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით ცხინვალის რეგიონში ანტიკრიმინალური ოპერაციის შესაძლო ჩატარების შესახებ. ეს განცხადება რუსულმა მასმედიამ აიტაცა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებისგანაც ამას ის რეაქცია მოჰყვა, რაც, პრინციპში, მოსალოდნელი იყო. გასულ კვირას ჩვენმა ძალოვნებმა შიდა ქართლში გამსვლელი სხდომაც ჩაატარეს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამაჩაბლოს საკითხის ახალ კონტექსტში წამოჭრას პროვოცირება საქართველოს მხარემ გაუწია. რა ხდება, რატომ ხდება ეს?**

- იმიტომ, რომ ეს დიდი ხანია, უნდა მომხდარიყო. ჯერ ერთი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ეპიცენტრი, კარგა ხანია, გადადის სამაჩაბლოში. პოლიტიკური ვითარების გამო, ხელისუფლება თავს იკავებდა ამაზე საუბრისგან. იქ არის უკონტროლო ვითარება. მანქანების და ადამიანთა გატაცებები, იარაღით ვაჭრობა, მკვლელობა, ნარკობიზნესი, პანკისზე ნაკლები კერა არ არის სამაჩაბლო, აფხაზეთზე აღარაფერს ვიტყვი...

ცხადია, ჩასატარებელია ეს ოპერაცია, უბრალოდ, მისი წარმატება ძნელად წარმოსადგენია, როცა ცხინვალი და ჯავა ჩვენი კონტროლის ქვეშ არ არის. კრიმინალური სიტუაციის ბუდე არის იქ. მაგალითად, მანქანას რომ იპარავენ, მიჰყავთ ცხინვალში. იქ, სადაც ხელი აღარ მიგვიწვდება. სეპარატისტთა ორგანოებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი რომ გვქონდეს, ზღაპარია. ფაქტობრივად, დღევანდელი სეპარატისტული ხელისუფლება თავიდან ბოლომდე იკვებება ამ შავი ბიზნესით. ამიტომ ანტიკრიმინალური ღონისძიების ჩატარება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ჩვენი კონტროლი ცხინვალსა და ჯავას გასწვდეს.

საერთაშორისო საზოგადოებამ, ჩვენმა მეგობარმა ქვეყნებმა, აშშ-მ და ინგლისმა უნდა გააცნობიერონ და, ვფიქრობ, ისინიც ხვდებიან ამას, რომ საქართველოში სტაბილურობა და უსაფრთხოება თავისთავად გულისხმობს ამ ტერიტორიების - სამაჩაბლოსა და აფხაზეთის კონტროლს. სანამ ეს შავი ხვრელები იარსებებენ, კრიმინოგენულ სიტუაციას წელში ვერ გადავტეხავთ.

**- ეს ომის განახლებას ნიშნავს?**

- ომის განახლებას ეს არ უნდა ნიშნავდეს. თუმცა, ეს უნდა იყოს ჩვენი კატეგორიული მოთხოვნა. სანამ პანკისის ხეობაში ჯარი არ შევიდა, გარედან ოპერატიული ღონისძიებების ჩატარებას აზრი არ ჰქონდა...

**- თუმცა, ჯარის შესვლამდე იქ არ არსებობდა თვითგამოცხადებული რესპუბლიკა...**

- არ არსებობდა, მაგრამ პანკისიც უკონტროლო იყო.

**- დღეს ამის დრო დადგა?**

- ამის დრო ყოველთვის იყო, მაგრამ ამ პრობლემას მარტო ჩვენი ძალებით ვერ გადავწყვეტთ, თუ თანადგომა არ იქნა...

**- რა სახის თანადგომას გულისხმობთ?**

- თუნდაც პოლიტიკურს. დღეს ცხინვალის რეგიონს, ისევე როგორც აფხაზეთს, რუსეთი აკონტროლებს, თავისი ტექნიკით, შეიარაღებული ძალებით. აქ სერიოზული მოლაპარაკება უნდა მოხდეს. თუ რუსეთს აღელვებს პანკისი, ჩეჩნეთისა და ტერორიზმის საკითხი, ჩვენც გვაღელვებს ეს საკითხები და ამის ბუდეები გვაქვს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ეს ერთ სიბრტყეში განსახილველი საკითხებია.

**- ამ დღეებში ისევ გავრცელდა ინფორმაცია კოდორში ახალი დაძაბულობის შესახებ...**

- იყო ინფორმაციები სერიოზული წყაროებიდან, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე, გულრიფშის რაიონში რუსების მხრიდან ძალების კონცეტრაცია ხდება. არის მოსაზრება, რომ ეს ფსიქოლოგიური ზეწოლის მიზნით კეთდება ან, შეიძლება, მართლაც მზადდება რაიმე ოპერაცია. მე ვფიქრობ, რომ უფრო პირველ ვარიანტთან გვაქვს საქმე, თუმცა აქაც ფრთხილად უნდა ვიყოთ და ამ პრობლემას სერიოზული ყურადღება მივაქციოთ.

**- ამერიკისა და ინგლისის მიერ საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტებით დაინტერესება რამდენადაა იმის გარანტია, რომ ჩვენ ამ პრობლემების მოგვარებას შევძლებთ?**

- გარანტია არ არის, მაგრამ ამერიკისა და ინგლისის დაინტერესება მეტად მნიშვნელოვანია. აშშ-ს პროცესების მართვის დიდი შესაძლებლობა აქვს მსოფლიოში, მას დღეს უზარმაზარი სამხედრო პოტენციალი გააჩნია. ამერიკის მხარდაჭერითაა, რომ დღეს ჩვენ სამხედრო აგრესია ავიცილეთ.

**- პოლიტიკური მხარდაჭერა გაქვთ მხედველობაში?**

- დიახ. ეს მხარდაჭერა მეტად მნიშვნელოვანია.

**- რამდენად არის ეს პოლიტიკური მხარდაჭერა საკმარისი ჩვენი ტერიტორიების დასაბრუნებლად?**

- საკმარისი არ არის. თუმცა, მხარდაჭერა ჩვენ ფინანსური თვალსაზრისითაც დიდი გვაქვს. ამ ფულით თავის დროზე სამხრეთ კორეა აშენდა, ჩვენთან კი აშენდნენ ჩინოვნიკები... ეს ჩვენს თავს დავაბრალოთ... მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ არ ამოიწურა ჩვენდამი ნდობის ლიმიტი. უკვე მიღებული დახმარებით ჩვენი ქვეყანა უნდა ყოფილიყო ეკონომიკურად მოძლიერებული, თავისი ჯარით, სპეცსამსახურებით...

**- თავდაცვის ბიუჯეტზე რას იტყვით? გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ მიმართულებით მომავალი წლის ბიუჯეტში სერიოზული ზრდაა დაგეგმილი...**

- ზრდა ნაწილობრივ იმით არის განპირობებული, რომ ბიუჯეტს "წრთვნისა და აღჭურვის პროგრამის" ფული მიემატა, ნაწილიც დაემატა სპეცსახსრებიდან. ეს თანხა საკმარისი მაინც არ არის.

თქვენ ალბათ გახსოვთ, წელს 11 მილიონი რომ გამოვუყავით დამატებით თავდაცვას, ეს ფული ჯერაც არ გაუცია ფინანსთა სამინისტროს. ამაზე უახლოეს პერიოდში გვექნება სერიოზული, ძალიან მძიმე საუბარი.

მომავალი წლის ბიუჯეტისთვის კი ჩვენი კომიტეტი და თავდაცვის სამინისტრო ვაპირებთ სერიოზული ინიციატივით გამოსვლას. საზღვარგარეთ მიღებულია, რომ მშპ-ს გარკვეული პროცენტი უნდა იყოს გამოყოფილი თავდაცვაზე. რადგან ჩვენთან მშპ-ს გაანგარიშება საკმაოდ ძნელია, ჩვენ შემოვალთ წინადადებით, რომ შემოსავლების გარკვეული პროცენტი იყოს ამ მიმართულებით გამოყოფილი. მესმის, რომ ეს საკმაოდ რთული გადაწყვეტილებაა, მაგრამ დღეს ჩვენ ვიმყოფებით ექსტრემალურ სიტუაციაში, როცა თავდაცვის ხარჯებისადმი განსაკუთრებული მიდგომაა შესამუშავებელი.

**- რამდენად სერიოზულ დაფინანსებაზეა საუბარი? მივუახლოვდებით თუ არა ამით ოდნავ მაინც ნატო-ს ან თუნდაც ბალტიისპირეთის სტანდარტებს?**

- არა, რას ამბობთ. ეს თანხა მაინც მიზერული იქნება. 56 მილიონი, ის, რაც ახალ ბიუჯეტშია წარმოდგენილი - აღარაფერს ვამბობ დღეს ბიუჯეტში ჩადებულ 36 მილიონზე - არის იმის ნახევარი, რამდენადაც გაიყიდა, თუ არ ვცდები, ბრაზილიელი ფეხბურთელი რონალდო.



ბათიაშვილი დამოკიდებულება ჩეჩნების ექსტრადიციის ფაქტისადმი გაორებულია.

# ქართველი და რუსი ჟურნალისტების დიალოგი გელაევის ალყაში

პირველი გვერდიდან

პაველ ფელგენგაუერი (მოსკოვში საუკეთესო სამხედრო ექსპერტად აღიარებული მიმოხილველი), მიხაილ შეველიოვი ("მოსკოვსკიე ნოვოსტის" "ინტელექტუალურ მოტორად" წოდებული), გენადი სისოევი ("კომერსანტის" საერთაშორისო მიმოხილველი), თავად ოლეგ პანფილოვი - ექსტრემალური ჟურნალისტიკის მეტრი რუსეთში და ა. შ.

საქართველოს მხრიდან კონფერენციაში მონაწილეობენ პოლიტოლოგი გია ნოდია, ფსიქოლოგი გაგა ნიჟარაძე და ყველა წამყვანი გამოცემისა თუ ტელეკომპანიის წარმომადგენლები. საპატიო სტუმრად მოწვეულია პარლამენტის ვიცე-სპიკერი ელდარ შენგელაია.

კონფერენციის პირველ დღეს, საქართველოს პრეზიდენტის მისასალმებელი მიმართვის გაცნობის შემდეგ, სავსებით ბუნებრივად ჩამოვარდა საუბარი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე. მსჯელობა საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და გამოიკვეთა რამდენიმე პოსტულატი, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ დაძაბულობის ესოდენ კრიტიკულ ზღვრამდე მიყვანაში. ესენია: ორივე ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სისუსტე, ერთი მხრივ, რუსეთის ვერგათავისუფლება იმპერიული სინდრომისაგან, და მეორე მხრივ, საქართველოსი - კოლონიურისაგან; როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, ძველი ნომენკლატურის კვლავაც სერიოზული გავლენა; ბოლო ათწლეულში ურთიერთობათა პერმანენტული გაუარესება და ამ ეტაპზე უკვე არჩევანის გაკეთება ცუდსა და უკიდურესად კრიტიკულს შორის.

დიდი ყურადღება მიექცა იმ სტერეოტიპებსაც, რომელთა ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მედიას. ამასთან დაკავშირებით ძალიან საყურადღებო მოსაზრება გამოთქვეს მოსკოველმა სტუმრებმა - კერძოდ, რუსეთის მედიაში უკვე წამყვან პოსტებს იკავებენ ახალი თაობის ჟურნალისტები, რომლებსაც, ბოლო ათწლეულში შეზღუდული ურთიერთობების გამო, წარმოდგენა არა აქვთ საქართველოზე, მის კულტურასა და ხალხზე. ამიტომ, გაიგივებულია ჩრდილოკავკასიელები და ქართველები, რაც საზოგადოებას გადაეცემა, როგორც ჩამოყალიბებული სტერეოტიპი ("ლიცა კავკასსკოი ნაციონალნოსტი") და ამიტომაც, უკვე ადვილი ხდება პროპაგანდა საქართველოზე სამხედრო თავდასხმისა, როგორც ჩეჩნეთის კამპანიის ერთგვარი გაგრძელებისა.

ძალზე საინტერესო გამოდგა დისკუსია თემაზე: "რა შეეძლო, გაეკეთებინა ორივე ქვეყანას, რათა ვითარება ასე არ გამწვავებულიყო". აღმოჩნდა, რომ საქართველოს, რეალურად, არაფერი შეეძლო, თუ არ ჩავთვლით ორ, ასე ვთქვათ, პრეტენზიას. პირველი: "ხელისუფლების ანტირუსული რიტორიკა" (პაველ ფელგენგაუერი), და მეორე: "გათავისუფლებული, მაგრამ კოლონიური სინდრომით დაავადებული ქვეყნის მიერ ძალზე ფორსირებული შეცვლა ერთი მეტროპოლიისა (რუსეთი) მეორით (აშშ)" (გენადი სისოევი).

აი, ეს არის ძალზე მოკლე ანგარიში კონფერენციის პირველი დღისა, მაგრამ სურათი ნამდვილად ნაკლული გამოვა, თუ კონფერენციის არაფორმალურ ნაწილსაც არ შევეხებით. ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით, ალბათ, სწორედ ეს არის ამგვარი შეხვედრების მთავარი ღირებულება. ლიკანის ბილიკებზე სეირნობისას თუ, უბრალოდ, ცნობისმოყვარე კითხვა-პასუხისას, ამოტივტივდნენ პოლიტიკის ის დაფარული, კულუარული პლასტები, რომელთა დანახვაც თბილისიდან მოსკოვში და პირიქით, - თითქმის შეუძლებელია.

ამ საუბრებისას გამოჩნდა, რომ რუსეთ-საქართველოს ბევრი მანკიერების მოდელირება ხდება ერთმანეთისგან. ამის დასტურია თუნდაც პანკისის ხეობა, მაგრამ ეს უკვე ცალკე თემაა...

საღამოს, ბორჯომში გასეირნების შემდეგ დაბრუნებულმა იმავე რუსმა ჟურნალისტმა, შეკითხვაზე, გელაევს ხომ არ გადაყრიხარო, ასეთი პასუხი გასცა: "თუ ჩვენი გენერლების ბოდვას დავუჯერებთ, გელაევი, დღეს თუ არა, ხვალ მაინც, თავად გვეწვევა, ხოლო თუ თქვენს პრეზიდენტს ვენდობით, მისი მოძებნა ბიბლიოთეკაში უფრო ადვილი იქნება".

# მეტალურგიული კომბინატი 240 მილიონად გაიყიდა

პირველი გვერდიდან

"აზოტი", რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში მუშაობს. გუშინ იტალიელებმა საკუთარი რეაბილიტაციის გეგმის პრეზენტაცია მოაწყეს.

ანჟელა კორნა: "რეაბილიტაციის პროგრამა ითვალისწინებს დაახლოებით 240 მილიონი დოლარის ინვესტიციას. ის გათვლილია რამდენიმე წელზე. 130 მილიონი პირდაპირ წარმოების განვითარებაში ჩაიდება, ხოლო 108 მილიონით კრედიტორულ დავალიანებას გავისტუმრებთ.

გვინდა ხაზი გავუსვათ, იმისათვის, რომ კომბინატი იტალიური მხარის საკუთრებაში გადავიდეს, ჩვენ მხოლოდ ორი პირობა უნდა შევასრულოთ: ეს არის კრედიტორული დავალიანების დაფარვა და რეაბილიტაციის გეგმის შესრულება. ესე იგი გამოდის, რომ ქარხნას 240 მილიონად ვყიდულობთ.

მოვამზადეთ სამი ძირითადი დოკუმენტი: ქარხნის რეაბილიტაციისა და ფინანსური გაჯანსაღების გეგმა 2003-2017 წლებში; დავალიანების დაფარვის გრაფიკი და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დანართით. გეგმა ქართველმა და იტალიელმა სპეციალისტებმა ამერიკელი, ინგლისელი, გერმანელი ექსპერტების დახმარებით შეიმუშავეს და ის საკმაოდ რეალურია,- განაცხადა ანჟელა კორნამ,- კომბინატში დღეისათვის ძალიან მძიმე ფინანსური მდგომარეობაა. ცივილიზებულ საზოგადოებაში ვალის გადახდა აუცილებლობას წარმოადგენს და ჩვენ გადავიხდით ამ 108 მილიონს 15 წლის მანძილზე. მიგვაჩნია, რომ არის არასწორად დაგროვილი ვალებიც და ამ საკითხში პრესას ვთხოვთ თანადგომას.

ჩვენ ნებაყოფლობით ვიღებთ ვალდებულებას, რომ პირველ რიგში სოციალური ვალები გავისტუმროთ. სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია ეს სხვაგვარად გავაკეთოთ, რადგან ქართული კანონმდებლობა გვაიძულებს, ყველა მევალეს ერთნაირად მოვემსახუროთ."

ქართულ და იტალიურ მხარეებს შორის ხელშეკრულების ხელმოწერას ჟურნალისტები არ დაასწრეს და შესაბამისად, მისი ნახვაც ვერავინ მოახერხა. კომბინატის გენერალური დირექტორის თქმით, ყველაფერი წესრიგშია, რადგან ინვესტორები წინა ღამეს საქართველოს პრეზიდენტთან იმყოფებოდნენ და მისი თანხმობა მიიღეს.

# „ახლები" სააკაშვილს სკამს აღარ ეცილებიან

თამარ მჭედლიშვილი

***"ახალი მემარჯვენეები" თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე საკუთარი კანდიდატურის გასაყვანად აღარ იბრძოლებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ "ლეიბორისტებისა" და "ნაციონალების" შეთანხმება მიხეილ სააკაშვილის "პირველკაცობის" თაობაზე აღარ შეიცვლება, ყოველ შემთხვევაში, ახალი მოწვევის საკრებულოს პირველ სხდომამდე, რომელზეც მისი ხელმძღვანელობა უნდა აირჩეს.***

აქედან გამომდინარე, "ახალი მემარჯვენეები" უკვე შეეგუენ იმ აზრს, რომ ლევან გაჩეჩილაძეს, თავმჯდომარეობისათვის, დეპუტატთა ხმები არ ეყოფა. თუმცა პარტიაში დარწმუნებულები არიან, რომ იგი **"ყველაზე მისაღები კანდიდატურაა და თავმჯდომარედ არჩევის შემთხვევაში, დედაქალაქის პრობლემებს სხვებზე უკეთ გაართმევდა თავს".**

როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით საგანელიძემ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, მიხეილ სააკაშვილი ნამდვილად არ იტყვის უარს საკრებულოს თავმჯდომარეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ პოსტზე არაფერს გააკეთებს. საგანელიძე დარწმუნებულია,



*არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, სააკაშვილს საკრებულოს თავმჯდომარეობა პირველმა ნათელაშვილმა შესთავაზა.*

რომ სააკაშვილი თავმჯდომარის სკამს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოიყენებს, თუნდაც იმისთვის, რომ მორიგი პოლიტიკური ტრიბუნა საკუთარი ოპონენტების წინააღმდეგ გამოიყენოს. **"თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ დედაქალაქს 200 000-ლარიანი ბიუჯეტი აქვს და თუკი ამ თანხის გაკონტროლებასაც შეძლებს, მისთვის ურიგო ნამდვილად არ იქნება"**, - ამბობს დავით საგანელიძე.

სხვათა შორის, "ახლებს" ჯერ არ ჩამოუყალიბებიათ საკუთარი პოზიცია თბილისის მერის იმპიჩმენტის პროცედურის სავარაუდო დაწყების თაობაზე, თუმცა მათი დამოკიდებულება ვანო ზოდელავას საქმიანობისადმი მკვეთრად უარყოფითია. მეტიც – დავით საგანელიძეს მიაჩნია, რომ "ლეიბორისტები" ამ წამოწყების განხორციელებას თავს ვერ მოაბამენ, თუნდაც იმიტომ, რომ მათ მხარს არ დაუჭერენ "ნაციონალური მოძრაობის" წევრები და თავად მიხეილ სააკაშვილი. დავით საგანელიძის თქმით, **"მიხეილ სააკაშვილმა ვანო ზოდელავას, შესაძლოა, მხოლოდ მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ შეუტიოს. ისიც პოლიტიკური ქულების ჩაწერის მიზნით. დღეს კი სააკაშვილისთვის ქალაქის მერის საკითხი არააქტუალურია".**

სხვა გაზეთიდან

# "პოსტშევარდნაძისეული ეპოქა გაურკვეველია"

საქართველოს პრეზიდენტი თითოეულ ნაბიჯს სიფრთხილით ადგამს. რუსები მას აბრალებენ, რომ იგი ტერორიზმს არ ან ვერ ებრძვის. თავის ქვეყანაში ოპოზიცია სერიოზულად აკრიტიკებს შევარდნაძეს, რადგან სახელმწიფოში უმძიმესი ეკონომიკური კრიზისია. დაასრულებს თუ არა თავის მოღვაწეობას "თეთრი მელა" - შევარდნაძე ვადამდე? ვინ შეძლებს, გახდეს მისი მემკვიდრე?

ედუარდ შევარდნაძე დანარჩენი მსოფლიოსთვის დამოუკიდებელი საქართველოს სინონიმია. 1992 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა, როგორც ყოფილი საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი. საქართველომ იმ დროს, ის ის იყო, ნაციონალისტი გამსახურდია მოიცილა. შევარდნაძემ საქართველო სახელმწიფოებრივ გზაზე დააყენა, საერთაშორისო ავტორიტეტი შეუქმნა და არჩევნებში სამჯერ გაიმარჯვა. ყველას ახსოვს ერთ-ერთი თავდასხმის შემდეგ სისხლიანი მაისურით შემოსილი, უძლეველი პრეზიდენტი.

ბოლო წლების განმავლობაში მისი პოლიტიკის მიმართ კრიტიკამ იმატა. იგი უაღრესად უტაქტოდ იქცეოდა, პანკისის ხეობასთან დაკავშირებით, რუსეთთან კონფლიქტისას. ამ ხეობაში ჩეჩნები იმყოფებიან. მან ვერც აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მიაგნო გამოსავალს და პრაქტიკულად, ვერც რუსეთის ძალებისა და ბოევიკების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის შემთხვევაში. პრეზიდენტი კორუმპირებულ მინისტრებსა და ჩინოვნიკებს ხელს აფარებდა და გამდიდრების შესაძლებლობას აძლევდა სხვადასხვა კლანებს.

გასული ივნისის ადგილობრივ არჩევნებში შევარდნაძის "მოქალაქეთა კავშირმა" ხმების მხოლოდ მცირე პროცენტი მოიპოვა. ყველაზე მეტი ხმა ერგოთ: - მიხეილ სააკაშვილის ახლადშექმნილ პარტიას – "ნაციონალური მოძრაობა" და შალვა ნათელაშვილის "შრომის პარტიას". თითოეულმა, დაახლოებით, ხმების 25% მოიპოვა. უცხოელი დამკვირვებლები სააკაშვილსა და ნათელაშვილს, 2004 წლის გაზაფხულის არჩევნებზე, პრეზიდენტობის მთავარ კანდიდატებად მიიჩნევენ. ამ ორიდან, მათი აზრით, სააკაშვილი უფრო პოპულარულია და იგი განსაკუთრებით კრიტიკულად არის განწყობილი პრეზიდენტის მიმართ.

"შევარდნაძე, მისი ცოდნისა და გამოცდილების მიუხედავად, არ არის მიჩვეული ნამდვილი დემოკრატიული ქვეყნის მართვას, - გვეუბნება პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსი, ლიბერალი სააკაშვილი - მრავალი ასპექტით იგი ძველებური საბჭოთა ბიუროკრატია, საბჭოთა ნომენკლატურის უკანასკნელი ნაშთი ევროპაში. სხვაგან, აღმოსავლეთ ევროპაში, ასეთები აღარ არსებობენ." ის ვარაუდი, რომ შევარდნაძე 2004 წლამდე დატოვებს სცენას, საეჭვოა, მაგრამ ისეთებიც ცოტანი არიან, ვისაც სჯერა, რომ ქვეყანას დღევანდელი კრიზისიდან შევარდნაძე გამოიყვანს.

პოლიტოლოგი თინა გოგელიანი ამბობს, რომ "ეს მისი ბოლო მანდატია და აშშ, ბრიუსელი და მოსკოვი ნელ-ნელა არჩევენ და ამოწმებენ თავიანთ კანდიდატებს. ლოიალობა იდეოლოგიურ ორიენტაციაზე ბევრად მნიშვნელოვანია". გოგელიანის აზრით, რუსეთის ფავორიტი კიდევ უფრო ნათლად ჩანს, ვიდრე დასავლეთის კანდიდატი.

არსებობს თანმიმდევრული ანტირუსული ოპოზიცია სააკაშვილის ლიდერობით, მაგრამ ნამდვილი ანტი-დასავლური ოპოზიცია არ არსებობს.

ნათელაშვილი (მემარცხენე "შრომის პარტია") რუსეთზე ორიენტირებული პოლიტიკოსია. "საქართველოს ბევრი საერთო აქვს რუსეთთან," - გვეუბნება ის თავისi პარტიის ოფისში. ნათელაშვილს არ უნდა, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანდეს, რაც შევარდნაძის მიზანია და ამ უკანასკნელს, ბუნებრივია, ურჩევნია, ყველა უცხო სამხედრომ დატოვოს საქართველო, რუსებმა კი - აფხაზეთი.

"რუსებთან ძალების ახალი ბალანსი მხოლოდ აფხაზეთში მშვიდობის დამყარების შემდეგ იქნება შესაძლებელი", - ამბობს ნათელაშვილი, რომელიც ცოტა ხნის წინ ამერიკის ელჩთან იმყოფებოდა მნიშვნელოვანი ვიზიტით.

"საქართველო პატრიარქალური სახელმწიფოა - სათავეში შევარდნაძით," - ამბობს მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის წევრი, დავით ლოსაბერიძე. იგი თავისი ქვეყნის პოლიტიკური ანალიზის სისტემას აკეთებს: "ჩვენ, პოლიტიკური კლანებისა და მაფიოზური ჯგუფების თვალსაზრისით, იტალიასავით პრობლემები გვაქვს."

ლოსაბერიძე ქართულ პოლიტიკაში ფატალურ, აღმოსავლურ ნიშნებს ხედავს, რაც საზოგადოების დემოკრატიულ ინიციატივებს აფერხებს. "საქართველოს მოსახლეობისთვის არ არსებობს სამთავრობო, ანუ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რომელიც მასზე ზრუნავს, იგი უფრო მტერს ჰგავს. ამიტომაც ფუნდამეტალიზმსა და რადიკალურ კურსს მეტი მხარდაჭერა აქვთ, მით უმეტეს, ეკონომიკური კრიზისის ფონზე," - აღნიშნავს ისტორიკოსი.

ამერიკელები ქართველებს ტერორიზმთან ბრძოლაში ეხმარებიან. მათი დაკვირვებით, ქართული ჯარი უაღრესად სუსტია. ბევრის აზრით, პრეზიდენტი არც არის დაინტერესებული ჰყავდეს ძლიერი ჯარი, რადგან ძლიერ ჯარს მისი გადაყენება შეუძლია. ქართული პოლიციის მთელი, უზარმაზარი, კორუმპირებული აპარატი შევარდნაძის მხარდამჭერია.

თავად შევარდნაძემ, რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის, ელცინისგან განსხვავებით, მემკვიდრე არ დაასახელა. ამ კონტექსტში ხანდახან ასახელებენ პატიაშვილს, ყოფილ კომუნისტს, რომელიც, ბოლო ორი არჩევნების შედეგებით, მეორე იყო შევარდნაძის შემდეგ. მაგრამ მას არც დიდი მხარდაჭერა აქვს და არც ქარიზმულობით გამოირჩევა. "შევარდნაძე დაინტერესებული უნდა იყოს, რომ თავისი კანდიდატი ჰყავდეს, - ამბობს ერთ-ერთი დასავლელი დიპლომატი,- ისეთი, რომელიც პრეზიდენტობის შემდეგ მისი იმუნიტეტის გარანტიას უზრუნველჰყოფს - როგორც პუტინი მოიქცა ელცინის მიმართ."

*ჰოლანდია. გაზეთი "ტრაუ".*
*2 ოქტომბერი. 2002 წელი*

უცხოეთი

# თურქეთს ევროპის გარეთ ტოვებენ - უკვე მერამდენედ

ევროპის კომისიამ გადაწყვიტა, ევროკავშირში გაერთიანებისთვის რეკომენდაცია გაუწიოს ევროკავშირის წევრობის 10 კანდიდატ ქვეყანას აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპიდან – პოლონეთს, უნგრეთს, ჩეხეთის რესპუბლიკას, სლოვაკეთს, ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს, სლოვენიას, კვიპროსსა და მალტას. მოსალოდნელია, რომ ეს ქვეყნები ევროკავშირს 2004 წელს შეუერთდებიან.

სამაგიეროდ, თურქეთს, უკვე მერამდენედ, წევრობის შესახებ მოლაპარაკების დაწყებაზეც კი უარი უთხრეს – საბაბად ამჯერადაც არასაკმარისი ეკონომიკური სტანდარტები და ადამიანის უფლებების სფეროში არსებული დარღვევები იქცა. გარდა ამისა, ევროპის კომისიამ მხედველობაში მიიღო თურქეთის მომავალი საპარლამენტო არჩევნებიც, რომელიც ნოემბერში უნდა გაიმართოს. თუმცა, თურქეთს იმედი ჯერ არ გადაუწურავს – თუ არჩევნებში პროევროპული ძალები გაიმარჯვებენ, ევროკავშირმა, შეიძლება, თავისი პოზიცია შეცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროკავშირი თურქეთის დასაშოშმინებლად მეტი დახმარების შეთავაზებას აპირებს.

ევროკომისიის რეკომენდაციები 24 და 25 ოქტომბერს ბრიუსელში, ევროკავშირის უმაღლესი დონის შეხვედრაზე იქნება განხილული. ამის შემდეგ, სულ რამდენიმე კვირაში, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები საბოლოოდ დაასრულებენ მოლაპარაკებებს. ახალ წევრებს ევროკავშირში ფორმალურად დეკემბერში, კოპენჰაგენის სამიტზე მიიწვევენ. ამ ათი სახელმწიფოს გარდა, ევროკავშირის რეალური კანდიდატები არიან ბულგარეთი და რუმინეთი, რომლებიც გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებებს მოგვიანებით დაიწყებენ და ევროკავშირის წევრობას 2007 წლისათვის მიაღწევენ.

რასაკვირველია, ახალი წევრების მიღება ევროკავშირში უმტკივნეულოდ არ მოხდება. მაგრამ უფრო დიდი პრობლემები იმ ქვეყნებს შეექმნებათ, რომლებსაც ამ ეტაპზე უარი ეთქვათ ევროკავშირში შესვლაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით შემაშფოთებელი შეიძლება გახდეს ვითარება თურქეთში, რომელიც უკვე რამდენი წელია (1963 წლის შემდეგ!), უშედეგოდ ცდილობს ევროკავშირში გაწევრიანებას. ევროკავშირში მიღების პერსპექტივის გაურკვეველი ხანით გადაწევამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ანტიევროპულად განწყობილი ნაციონალისტების წარმატებას ნოემბრის რიგგარეშე არჩევნებზე. მეტიც, კვიპროსის მიღებამ ევროკავშირში, შეიძლება, თურქი ნაციონალისტების გაღიზიანება გამოიწვიოს – კვიპროსი თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ორ - ბერძნულ და თურქულ ნაწილადაა გაყოფილი, რომელთა შორის საზავო ხელშეკრულება ჯერ არ არსებობს. ანკარა დიდი ხანია, იმუქრება, რომ, თუ კვიპროსს ევროკავშირში მიიღებენ, თურქეთი ამ კუნძულის ეთნიკური თურქებით დასახლებული ჩრდილოეთ ნაწილის ანექსიას მოახდენს.

თავის მხრივ, საბერძნეთი იმუქრება, რომ, თუ კვიპროსს ევროკავშირის გაფართოების პროცესის გარეთ დატოვებენ, მაშინ საბერძნეთი ყველა კანდიდატი ქვეყნის მიღების პროცესს ჩაშლის. თუმცა, ათი ქვეყნის "გაევროპულების" ბედი არა მარტო საბერძნეთზე, არამედ ირლანდიაზეცაა დამოკიდებული. 19 ოქტომბერს ირლანდიაში უნდა გაიმართოს რეფერენდუმი, რომელზეც ირლანდიის მოსახლეობა გადაწყვეტს, სურს თუ არა ახალი ქვეყნების მიღება ევროკავშირში (ამგვარი რეფერენდუმი ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში ჩატარდა). გასულ წელს ამგვარი სახალხო კენჭისყრა ირლანდიაში უარყოფითი შედეგით დასრულდა. არ არის გამორიცხული, მსგავსი რამ წლევანდელ რეფერენდუმზეც განმეორდეს. თუ ირლანდიელები კვლავ ჯიუტად იტყვიან უარს ევროკავშირის გაფართოებაზე, მაშინ ახალი წევრების მიღების პროცესი 2004 წლისათვის უკვე ვეღარ დასრულდება.

# ინგუშეთის შემდეგ გელაევი დაღესტანს უმიზნებს

პირველი გვერდიდან

"ინტერფაქს"-ის ცნობით, რუსებმა ბოლო დღე-ღამის განმავლობაში საქართველოს საზღვრის მახლობლად, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ჩეჩენი მებრძოლების რამდენიმე ბანაკი და იარაღის საწყობი გაანადგურეს.

რუსული საინფორმაციო საშუალებები ბოლო დღეებში დაჟინებით ავრცელებენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ საქართველოდან რუსეთში ჯერ კიდევ არ გადასულა ყველა ჩეჩენი მებრძოლი. მეტიც, ზოგიერთი ცნობის მიხედვით, თავად გელაევიც ჯერჯერობით საქართველოში იმყოფება. საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩენი მებრძოლების ყოფნაზე გუშინწინ ყურადღება გაამახვილა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმაც. "ინტერ-პრეს"-ის ცნობით, მან განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლების მტკიცება საქართველოდან ჩეჩენი მებრძოლების განდევნის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება.

თუ "ენ-ტე-ვე"-სა და "გაზეტა"-ს გუშინდელი ინფორმაცია ჩეჩნების საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთთან თავმოყრის შესახებ დადასტურდა, მაშინ შეგვეძლება, საბოლოოდ დავასკვნათ, რომ ჩეჩნებმა მოქმედების ტაქტიკა შეცვალეს და ცდილობენ, საომარი მოქმედებები ჩეჩნეთის ტერიტორიის გარეთ, უპირველეს ყოვლისა, ინგუშეთში, ჩრდილოეთ ოსეთსა და დაღესტანში გადაიტანონ.

თუ ეს ინფორმაცია რუსული მხარის მორიგი ბლეფი აღმოჩნდა, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსეთი პოლიტიკურ მარაგში პანკისის გარშემო ვითარების გამწვავების კიდევ ერთ საბაბს იტოვებს. თუმცა, როგორც "ნეზავისიმოე ვოენნოე ობოზრენიეს" მიმომხილველი აღნიშნავს, რუსეთის ხელმძღვანელობის მხრიდან საქართველოს მიმართ გამუდმებულმა მუქარამ, რომელსაც პრაქტიკული შედეგები არა და არ მოჰყვა, მთლიანად გააუფასურა კრემლის განცხადებები და ულტიმატუმები.

# კიშინიოვის სამიტის წინ - კოლექტიური რუტინისა და ორმხრივი შერკინებების მოლოდინში

გიორგი ხელაშვილი

*"კიშინიოვის სამიტი თანამეგობრობის ცხოვრებაში ვერანაირ ცვლილებას ვერ მოახდენს. ერთადერთი საყურადღებო მოვლენა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გარკვევა იქნება", - ასეთია დსთ-ს ქვეყნების წამყვანი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების აზრი.*

სამიტის მასპინძელი მოლდოვის პრეზიდენტი ვლადიმირ ვორონინი აღიარებს: **"საიდუმლო არ არის, რომ დსთ-ს ბევრი განიხილავს, როგორც ჩემოდანს სახელურის გარეშე – მისი თრევა ძნელია, მაგრამ გადაგდებაც გვენანება".** "მაგრამ იტარ-ტას"-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ვორონინი ცდილობს, გააქარწყლოს ეს არასახარბიელო შთაბეჭდილება.

სააგენტოს კორესპოდენტთან საუბარში ვორონინი აცხადებს, რომ იგი აპირებს თანამეგობრობის რეფორმირება – უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი და ეკონომიკური სტანდარტების დაახლოება შესთავაზოს დსთ-ს წევრი ქვეყნების პრეზიდენტებს. სამიტში მონაწილე პრეზიდენტებს შორის მოლდოვის პრეზიდენტის ოპტიმიზმი (ან ოპტიმიზმის იმიტაცია) გასაგებია-მას თავაზიანი მასპინძლის როლი ავალდებულებს, რაც შეიძლება, დადებითი ფონი შეუქმნას უმაღლესი დონის შეხვედრას. თუმცა, ისიც კარგად აცნობიერებს, რომ დსთ-ს სამიტზე არც თავისუფალი ვაჭრობის ზონისა და არც ანტიტერორისტულ ბრძოლაში თანამშრომლობის თემები წამყვანი არ იქნება. სამიტზე ყველაზე დიდი ყურადღება რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-ბელორუსს შორის არსებული ორმხრივი უთანხმოებების მოგვარებას მიექცევა

ორივე შემთხვევაში ყურადღების ცენტრში რუსეთის პრეზიდენტი იქნება, რომელსაც, ბორის ელცინისაგან განსხვავებით, თანამეგობრობის ბედი საკუთარი პოლიტიკური პრესტიჟის საქმედ არ მიაჩნია და კიშინიოვში არა სულთმობრძავი დსთ-ს გადასარჩენად, არამედ მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობებში არსებული კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად ჩადის.

ვლადიმირ პუტინს, ცოტა არ იყოს, ბედმა დასცინა კიდეც. საქმე ის გახლავთ, რომ 7 ოქტომბერს მას 50 წელი უსრულდება. ცხოვრებაში ამ ძალზე მნიშვნელოვან და სამახსოვრო დღეს, პუტინი თავისი ბოლოდროინდელი სპარინგ-პარტნიორის - ედუარდ შევარდნაძის კომპანიაში გაატარებს.

ეკონომიკა

# გაერთიანებული ენერგოკომპანია საბითუმო ბაზარს გვერდს აუვლის

მაია ურუშაძე

*საქართველოს გაერთიანებული ენერგოსადისტრიბუციო კომპანია ამიერიდან ელექტროენერგიას საბითუმო ბაზრის გვერდის ავლით – პირდაპირ ელექტროსადგურებისგან შეისყიდის. ამ გადაწყვეტილების მიღება ელექტროენერგეტიკის პერმანენტულმა ფინანსურმა პრობლემებმა განაპირობა. დღემდე არსებული პრაქტიკით, [illegible] ელექტროენერგიის საფასური ჯერ [illegible] ანგარიშზე [illegible], შემდეგ საბითუმო ბაზრის ანგარიშზე ხვდება და მხოლოდ ამის შემდეგ, საკმაოდ დიდი დაგვიანებით, აღწევს ელექტროენერგიის უშუალო მწარმოებელ სადგურებამდე.*

**"ამიერიდან ელექტროენერგიას უშუალოდ ელექტროსადგურებისაგან შევიძენთ**, - აცხადებს გაერთიანებული ენერგოკომპანიის რეალიზაციის სამსახურის უფროსი ომარ ხელაძე, **- ეს კი გააიოლებს ელექტროსადგურების ანგარიშზე თანხების მოხვედრის პროცესს."**

ამდენად, თუ ელექტროენერგიის საფასურს ადრე საბითუმო ბაზრის ანგარიში აუცილებლად უნდა გაევლო, ახლა ეს რგოლი ამოვარდნილია და თანხას დისტრიბუტორი უშუალოდ ელექტროსადგურებს ჩაურიცხავს.

გადამყიდველთა ჯაჭვიდან ერთი-ერთი რგოლის ამოვარდნა, შეიძლება, ტარიფის შემცირების წინაპირობად მიგვეჩნია, მაგრამ [illegible] ბა, ვინაიდან, იაფი ჰიდროენერგიის ყიდვის შემთხვევაში, ელექტროენერგიის საბითუმო ფასით წარმოქმნილ სხვაობას კომპანია პირდაპირ საბითუმო ბაზარს გადაუხდის. შედეგად, ჰიდროსადგურებისგან [illegible], ამ შემთხვევაში, გაერთიანებულ ენერგოკომპანიას შემოსავალი არ მოუტანს.

გაერთიანებულ ენერგოკომპანიას ელექტროენერგიის გარკვეული ნაწილის ყიდვა მაინც საბითუმო ბაზრიდან მოუწევს, ვინაიდან იაფი ჰიდროენერგიისა და ძვირი თბოენერგიის დაბალანსება საბითუმო ბაზრის [illegible] გადაცემა-დისპეტჩერიზაციის მეშვეობით ხორციელდება. საბითუმო ბაზრის ფინანსური ჯაჭვიდან ამოვარდნა [illegible]. **"ჩვენ ელექტროსადგურებისგან პირდაპირ ხელშეკრულებებით შევისყიდით ელექტროენერგიას არა მთლიანად, არამედ ძირითად ნაწილს. დარჩენილ რაოდენობას საბითუმო ბაზრიდან ნაყიდი ენერგიით შევავსებთ,"** – განმარტავს ომარ ხელაძე.

როგორც პარლამენტის ენერგეტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე რეზო არველაძე განმარტავს, **"ენერგოკომპანიას აქვს უფლება, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიერ დადგენილ ტარიფს შორის სხვაობა პირდაპირ ელექტროდისპეტჩერიზაციას ან ელექტროგადაცემას ჩაურიცხოს. თუმცა, ეს მან საბითუმო ბაზართან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე უნდა გააკეთოს."**

ამის გამო, საბითუმო ბაზარსა და [illegible] ელექტროსადგურებს - ენგურჰესს, ვარდნილჰესს, შაორჰესსა და ტყიბულჰესს შორის გასაფორმებელი ახალი ხელშეკრულებები, რომლებიც გაერთიანებულ ენერგოკომპანიასა და ელექტროენერგიის ჰესებიდან პირდაპირ შესყიდვას ანიჭებს, ამჟამად შესათანხმებელი საბითუმო ბაზართან არის გადაგზავნილი.

# რას მიიღებს რუსეთი ჰუსეინის თავის სანაცვლოდ

თორნიკე შარაშენიძე

*რუსეთის უდიდესი ნავთობგიგანტი "ლუკოილი" უდიდესი საფრთხის წინაშე დგას. კომპანიის ხელმძღვანელობა შიშობს, რომ, სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემთხვევაში, "ლუკოილი" (და მისი სახით მთელი რუსეთის სანავთობო მრეწველობა) საბოლოოდ დაკარგავს ერაყის საბადოებს, კერძოდ კი - დასავლეთ ქურნას, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ნავთობსაცავადაა მიჩნეული.*

1997 წლიდან მოყოლებული, "ლუკოილი" დასავლეთ ქურნას 68,5 პროცენტს ფლობს და, ერაყის ხელისუფლებასთან ერთად, ამ საბადოზე ნავთობს მოიპოვებს. მართალია, დღესდღეობით, გაეროს სანქციების გამოისობით, იქ მუშაობა არ მიმდინარეობს, მაგრამ "ლუკოილი" იმედოვნებს, რომ სანქციების გაუქმების შემდეგ საბადო მას უდიდეს მოგებას მოუტანს და მსოფლიოს ნავთობელიტაში დაუმკვიდრებს ადგილს.

თუმცა, ბოლოდროინდელი მოვლენები რუსებს აძლევს იმისი შიშის საფუძველს, რომ ჰუსეინის რეჟიმი მალე დაემხობა, პოსტსადამურ ეპოქაში კი ყველა შეთანხმება, დასავლეთ ქურნაზე უფლებების ჩათვლით, წარსულს ჩაბარდება და "ლუკოილი" თავის წილს დაკარგავს. ეს ნამდვილად არ არის არარეალური, მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ერაყულ საბადოებზე ამერიკულ კომპანიებს სერიოზულად უჭირავთ თვალი.

"ლუკოილის" შეფი ვაგიტ ალეკპეროვი იმედიანად აცხადებს, რომ ნავთობს რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკებებში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს და მოსკოვი ისე არ დაუთმობს ჰუსეინს ამერიკელებს, სანამ გარკვეულ ეკონომიკურ გარანტიებს არ მიიღებს.

რუსეთი და აშშ გაეროს უშიშროების საბჭოში ახლა, ამის გარდა, არაფერზე არ საუბრობენ. როგორ უნდა გადაწყდეს ჰუსეინის პრობლემა? თუკი სადამი უარს იტყვის წაყენებულ ულტიმატუმზე (გაეროს ინსპექტორების დაშვება და მათთვის სრული თავისუფლების მინიჭება), მაშინ, ომი გარდაუვალი იქნება. ჯორჯ ბუშს ყველაზე მისაღებად სწორედ მოვლენათა ასეთი განვითარება ესახება. ამიტომ, იგი ცდილობს, რუსეთი დაიყოლიოს, რომ მან უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლება არ გამოიყენოს.(წინააღმდეგ შემთხვევაში ვაშინგტონს გაეროს რეზოლუციის გარეშე მოუწევს ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყება).

რუსეთი ჯერჯერობით წინააღმდეგია, რადგან "ლუკოილის" თაობაზე ჯერ გარანტიები არ მიუღია. ასევე იკავებს თავს უშიშროების საბჭოს კიდევ ორი წევრი – საფრანგეთი და ჩინეთი. მათ ნავთობკომპანიებსაც, თავის დროზე, ხელსაყრელი კონტრაქტები აქვთ გაფორმებული ერაყთან და მოგების ხელიდან გაშვება არ უნდათ; რუსეთის მსგავსად ეს ქვეყნებიც ამერიკისგან გარანტიებს ითხოვენ.

მოკლედ

## სპარსეთის ყურის ქვეყნები ნავთობს იმარაგებენ

სპარსეთის ყურის ქვეყნებმა, აშშ-სა და ერაყს შორის ომის დაწყების საშიშროებიდან გამომდინარე, რეგიონის ფარგლებს გარეთ 70 მილიონი ბარელი ნავთობი და ნავთობპროდუქტები სარეზერვოდ გადაინახეს, - იუწყება სააგენტო "როიტერი" ქუვეიტის გაზეთ "ალ-კაბასზე" დაყრდნობით.

გაზეთის ცნობით, ქუვეიტის წილი ამ რეზერვში 15 მილიონი ბარელია. სარეზერვო მარაგები გათავსებულია აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროზე, აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში განთავსებულ ნავთობსაცავებში. მარაგის ნაწილი ასევე ინახება ტანკერებში. ცნობისათვის, 70 მილიონი ბარელი აშშ-ს ნავთობის მოხმარების სამ-ოთხ დღიან მარაგს წარმოადგენს.

## სად სჯობს ცხოვრება?

საერთაშორისო ორგანიზაციამ Economic Intelligence Unit-მა გამოაქვეყნა ყოველწლიური მოხსენება, რომელშიც შეფასებულია უცხოელთა ცხოვრების ხარისხი მსოფლიოს 130 ქვეყანაში. მოხსენებაში მაღალი შეფასება დაიმსახურეს მსხვილმა ავსტრალიურმა ქალაქებმა. პირველ ათეულში ასევე კარგადაა წარმოდგენილი ევროპაც. უცხოელებისთვის საუკეთესო ამერიკული ქალაქია ჰონოლულუ, რომელიც რეიტინგში 21-ეა. მოხსენების მიხედვით, ყველაზე კარგი ბრიტანული ქალაქი უცხოელთათვის ლონდონია (44-ე ადგილი), "საპატიო" 130-ე ადგილი დაიკავა პაპუა-ახალი გვინეის ქალაქმა პორტ მორესბიმ.

უცხოელთათვის საუკეთესო ქალაქების სია ასე გამოიყურება: მელბურნი, ვანკუვერი, პერტი, ჟენევა, ტორონტო, ვენა, ციურიხი, ადელაიდა, ბრისბენი, კოპენჰაგენი, დიუსელდორფი, ფრანკფურტი, ოსლო, მონრეალი. სიის "ფსკერზე" კი არიან: დელი, დაკარი, აბიჯანი, ბომბეი, ალჟირი, პნომპენი, დაკა, ლაგოსი, ყარაჩი და პორტ მორესბი. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან Economic Intelligence Unit-ის რეიტინგში მოხვდნენ მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი და ბაქო.

## კრედიტების მოყვარული ბრიტანელები

ბრიტანელებს ყველაზე მეტად ჰყვარებიათ ბანკიდან კრედიტის აღება. რუსეთის საინფორმაციო სააგენტოს "ნოვოსტის" ცნობით, ბრიტანელთა მიერ აღებული კრედიტების რაოდენობამ 800 მილიარდ გირვანქა სტერლინგს მიაღწია, რაც ევროპაში ერთგვარ რეკორდს წარმოადგენს.

სტატისტიკის მიხედვით, ბოლო ხანებში გაერთიანებული სამეფოს მცხოვრებლები ყოველთვიურად, საკუთარი საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ბანკებისგან რვა მილიარდ გირვანქას სესხულობენ. კრედიტებზე ასეთი მოთხოვნა გამოწვეულია ბრიტანეთის ბანკებში (1996 წლიდან) ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, რომელიც წლიურ ხუთ-ექვს პროცენტამდე მერყეობს. ამასთან, ბრიტანეთში მუდმივად მატულობს ფასი უძრავ ქონებაზე. მაგალითად, ლონდონში ჩვეულებრივი ბინის საშუალო ფასი 206 ათასი გირვანქაა. ამის მიზეზი ისაა, რომ როგორც ლონდონში, ასევე მის შემოგარენში, პრაქტიკულად, არ ხდება ახალი ბინების მშენებლობა, საცხოვრებელ ბინებზე მოთხოვნა კი გამუდმებით იზრდება. გარდა ამისა, ლონდონში უძრავი ქონების შეძენა სურთ არა მარტო ბრიტანელებს, არამედ შეძლებულ უცხოელებსაც.

# ევროსაბჭო ჩეჩნების გადაცემის წინააღმდეგია


ექსტრადირებული ჩეჩნები მინერალური წყლების აეროპორტში


ერთ-ერთი გადაცემული ჩეჩენი სტავროპოლის იზოლატორში

პირველი გვერდიდან

საქართველოში საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის დაკავებულ 5 ჩეჩენს რუსეთის პროკურატურა 28 ივლისს იტუმ-ყალეს სასაზღვრო ბრიგადაზე ჩეჩენი ბოევიკების მიერ განხორციელებული თავდასხმისას რუსი სამხედროების მკვლელობაში ადანაშაულებს. არადა, რუსეთის პროკურატურის მიერ გადმოცემული მასალებით, მათ ბრალი ედებოდათ მოსკოვში განხორციელებული ტერაქტების მოწყობაში. რუსეთის პროკურატურის წარმომადგენელი აცხადებს, რომ იზოლატორში გადაყვანილ ბრალდებულებთან მიმდინარეობს ოპერატიული სამუშაოები, რომლის შემდეგაც შესაძლებელი გახდება სხვა ბრალდებების დამტკიცებაც. ჯერჯერობით უცნობია, ბრალდებულებმა მისცეს თუ არა გამოძიებას სასურველი აღიარება. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ექსტრადირებულ ჩეჩნებს ჩვენებები არ დაუწერიათ.

**"საქართველოს ხელისუფლებამ ჩეჩნების გადმოცემით სწორი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ რუსეთის მოთხოვნის საბოლოო შესრულებამდე თბილისს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი,"** – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ სერგეი იასტრჟემბსკიმ. მისივე თქმით, მოსკოვი მოუთმენლად ელოდება დარჩენილი 8 ბრალდებულის ექსტრადიციას.

რუსეთის მასმედიით გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პირადად დაურეკა რუსეთის პრეზიდენტს და ექსტრადირებული ჩეჩნების შეწყალება სთხოვა. **"შევარდნაძემ, რომელიც აქამდე ჩეჩნების დიდი მფარველი იყო, ახლა, კიშინიოვის სამიტის წინ განაცხადა, რომ არ ღირს მათთვის დიდი ყურადღების დათმობა, რომ მათი გადაცემით ქვეყანა არ დაინგრევა. მე და ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი საერთო ენას გამოვნახავთ, - ასე მოიწონა თავი ჟურნალისტებთან შევარდნაძემ, რომელმაც გადაწყვიტა, რომ კოლეგა პუტინისთვის 50 წლის იუბილეზე 5 ჩეჩენი ეჩუქებინა და კიშინიოვის სამიტზე ხელდამშვენებული ჩასულიყო,"** – წერს რუსული პრესა.

გუშინწინ, თბილისის აეროპორტიდან დაკავებულთა გადაცემის ეტაპის დასრულების შემდეგ, სამუშაო კაბინეტებში დაბრუნებულ იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებს სტრასბურგიდან მოსული შეტყობინება ჩაბარდათ. ევროსაბჭოს ადამიანთა უფლებების დამცველმა უმაღლესმა სასამართლომ 13 ჩეჩნის ახლობელთა მიერ სტრასბურგში მიწერილი საჩივრის პასუხი ექსტრადიციიდან ნახევარი საათის შემდეგ გამოგზავნა. სტრასბურგის რეკომენდაციით, საქართველომ, ევროსაბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რუსეთის მიერ მოთხოვნილი პატიმრების გადაცემის პროცედურა უნდა შეაჩეროს.

ერთი სიტყვით, 5 ჩეჩნის ექსტრადიციის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. დარჩებიან თუ არა ისინი სტავროპოლის იზოლატორში, სტრასბურგის სასამართლოს საბოლოო განაჩენზეა დამოკიდებული, ისევე, როგორც თბილისში, ორთაჭალის იზოლატორში მყოფი 8 ტუსაღის ბედ-იღბალიც სტრასბურგიდან მოსულმა პასუხმა უნდა გადაწყვიტოს. ევროსაბჭოს გადაწყვეტილების ჩამოსვლამდე, რუსების მიერ მოთხოვნილი 8 ბრალდებული ორთაჭალის საპყრობილეში დარჩება.




ემ·ბი·ჯი
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი
გთავაზობთ სესხებს
თქვენი ბიზნესისათვის
1,5% –დან

| პირობები | სესხები | | |
|---|---|---|---|
| | ექსპრესსესხი | მიკროსესხი | ინვესტსესხი |
| თანხა | 100-2000 ლარი | 1000-10000 აშშ. დოლარი | 10000–100000 აშშ. დოლარი |
| პროცენტი (თვეში) | 3-4% | 2-3% | 1,5-2% |
| ვადა | 12 თვემდე | 24 თვემდე | 36 თვემდე |

ფილიალების ქსელი

ცენტრალური ფილიალი
თბილისი 380012
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ.: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 25-05-80
e-mail: mbg@mbg.com.ge

ვაკის განყოფილება
თბილისი 380079
მცხეთის ქ. 8
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
e-mail: vake@vake.mbg.com.ge

გლდანის ფილიალი
თბილისი 380067
ომარ ხიზანიშვილის ქ. 1
ტელ.: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
e-mail: gldani@gldani.mbg.com.ge

ვარკეთილის ფილიალი
თბილისი 380052
ჯავახეთის 2-ე რიხი
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
e-mail: varketili@mbg.com.ge

ქუთაისის ფილიალი
ქუთაისი 384000
თამარ მეფის ქ. 85
ტელ/ფაქსი: (8 231) 4-14-14; 4-51-64
e-mail: mbgk@mbg.com.ge

ზესტაფონის განყოფილება
ზესტაფონი 384900
წერეთლის ქ. 9
ტელ: (8 292) 510-22; 554-58
ფაქსი: (8 22) 33 36 69
e-mail: mbgz@kutaisi.mbg.com.ge

გორის ფილიალი
გორი, 383500, ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (8 293) 2-30-68, 2-73-05, 33-46-57
ფაქსი: (8 22) 33-46-58
e-mail:info@gori.mbg.com.ge

ბათუმის ფილიალი
ბათუმი 384500
ლუკა ასათიანის ქ. 18
ტელ.: (8 88 222) 7-24-20
ფაქსი: (8 88 222) 7-19-54
e-mail: info@batumi.mbg.com.ge

ლილოს განყოფილება
თბილისი 380015
კახეთის გზატკეცილი 112
ტელ.: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
e-mail: mbgl@access.sanet.ge

ფოთის ფილიალი
ფოთი 384690
დ. აღმაშენებლის ქ. 23
ტელ: (8 293) 28-28-5, 28-28-3
ფაქსი:(8 293) 28-28-3, 28-28-4
e-mail:mbgp@internet.ge

ქობულეთის განყოფილება
ქობულეთი, 384410
დ. აღმაშენებლის ქ. 2
ტელ/ფაქსი: (8 236) 66-439
e-mail: kobuleti@batumi.mbg.com.ge

მარნეულის განყოფილება
მარნეული, 383130, როლოყაშვილის ქ.№3
ტელ: (8 257)-2-16-00 8 (257)-2-16-50
ფაქსი: (822) 94-31-36
e-mail: info@marneuli.mbg.com.ge

ნაბიჯი წარმატებისკენ!

ლიცენზირებულია

# ხიზრი ალდამოვი პიტერ შოუს გატაცების ფაქტზე დაკითხეს


ხიზრი ალდამოვი პროკურატურაში დაკითხვის შემდეგ

იური ლობოდინის ფოტო

პირველი გვერდიდან

მან კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, რომ იგი ინგლისელი ბანკირის საქმის გამო დაკითხეს: **"პიტერ შოუს გატაცების გამო დამიბარეს აქ? როგორ გეკადრებათ, ვინ თქვა ეს, ვინ გითხრათ ასეთი სისულელე, რა შუაშია პიტერ შოუ... იცით რა? შესაძლოა, საერთოდ დავტოვო საქართველო, უბრალოდ, ძალიან დავიღალე აქ და ამიტომაც წავალ აქედან,"** – ასეთი კომენტარი გააკეთა პროკურატურიდან გამოსულმა აღელვებულმა ხიზრი ალდამოვმა.

არადა, ჩეჩნეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის დაკითხვის ფაქტი დაადასტურა გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსმა აკაკი ბუდაღაშვილმა.

**"ხიზრი ალდამოვი პროკურატურაში იმყოფებოდა სამი საათის მანძილზე, მაგრამ ჩვენ არ გვისაუბრია 8 დაკავებულ ჩეჩენთან დაკავშირებით. ამის თაობაზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა.**

**როგორც ცნობილია, პიტერ შოუს გატაცების საქმეს გენერალური პროკურატურა იძიებს. ორიოდე დღის წინ მივიღეთ ინფორმაცია, პანკისის ხეობაში მყოფი პიროვნეების ტელეფონზე დაფიქსირდა რამდენიმე სატელეფონო ზარი, საეჭვო ნომრები. აი, ამ და კიდევ სხვა საკითხებთან დაკავშირებით დავიბარეთ ხიზრი ალდამოვი. იგი მოვიდა და დაიკითხა დეტალურად. მე არ ვიცი, თავად მან რა გითხრათ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვადასტურებ, ხიზრი ალდამოვი პიტერ შოუს გატაცების საქმესთან დაკავშირებით დავკითხეთ. მას აუცილებლად მოუწევს კიდევ ერთხელ მოსვლა და ჩვენების მოცემა, რადგან ჯერ კიდევ გასარკვევია მთელი რიგი საკითხები. ალდამოვი ახლა მოწმის სტატუსით დაიკითხა. ჩვენ მას შევთავაზეთ, თუ სურვილი ჰქონდა, მოეყვანა ადვოკატი, მაგრამ მან უარი განაცხადა.**

**ახლა კონკრეტულ დეტალებს ვერ დაგიზუსტებთ, მაგრამ გეტყვით, რომ საეჭვო ნომრებზე დაფიქსირებული სატელეფონო ზარები დაკავშირებული იყო პიტერ შოუს საქმესთან,"** – განაცხადა საგამოძიებო ნაწილის უფროსმა აკაკი ბუდაღაშვილმა.

რაც შეეხება პიტერ შოუს გამტაცებლების დაკავების თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას, აკაკი ბუდაღაშვილის თქმით, **"დაკავებულები არიან სხვა დანაშაულში ეჭვმიტანილები, რომლებზეც ოპერატიულ სამსახურებს აქვთ გარკვეული ეჭვები, არსებობდა დაკავების საფუძველიც, თუმცა პიტერ შოუს გატაცების საქმესთან დაკავშირებით რაიმე რეალური დამადასტურებელი მასალა ჯერჯერობით არ არსებობს... არის თუ არა პიტერ შოუ პანკისის ხეობაში, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით - ოპერატიული ინფორმაცია იმიტომაა ოპერატიული, რომ მასზე საუბარი არ შეიძლება..."**

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ხიზრი ალდამოვი პროკურატურამ უშიშროების სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაკითხა. არსებობს მონაცემები იმის თაობაზეც, რომ ალდამოვი უშიშროების სამინისტროს, ინგლისელი ბანკირის გატაცების საქმის გამო, კარგა ხანია, მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავს. შესაძლოა, მალე ხიზრი ალდამოვი ბრალდებულადაც გამოცხადდეს.

- არის თუ არა ხიზრი ალდამოვი "აგრობიზნესბანკის" ინგლისელი დირექტორის გატაცებასთან დაკავშირებული? - ამ შეკითხვაზე აკაკი ბუდაღაშვილმა ასეთი პასუხი გაგვცა: **"...ამის თქმა როგორ შეიძლება? ამასათან დაკავშირებით ვერავითარ კომენტარს ვერ გავაკეთებ!.."**

# ყაჩაღებისგან სასტიკად ნაცემი ოჯახი საავადმყოფოში მკურნალობს

*ზუგდიდის რაიონში კიდევ ერთი მძიმე დანაშაული მოხდა. სოფელ ცაიში მცხოვრები ნაროუშვილების ოჯახის ყველა წევრი - დიდიან-პატარიანად, სხეულის უმძიმესი დაზიანებებით, ზუგდიდის საავადმყოფოში მოხვდნენ.*

გუშინწინ, გვიან ღამით, ნაროუშვილების ოჯახს ავტომატმომარჯვებული ხუთი ნიღბიანი უცნობი მიადგა. სახლში შევარდნილმა თავდამსხმელებმა ოჯახისგან ძვირფასეულობა და ათი ათასი დოლარი მოითხოვეს. ოჯახის უფროსმა, ვალერი ნაროუშვილმა ყაჩაღებს მოთხოვნაზე უარი უთხრა და მათთვის წინააღმდეგობის გაწევაც სცადა. განაწყენებულმა ყაჩაღებმა შესაშინებლად ჯერ რამდენჯერმე გაისროლეს ავტომატიდან, შემდეგ კი ოჯახის ყველა წევრი დაუნდობლად სცემეს.

ამის შემდეგ ნიღბიანმა ყაჩაღებმა ნარუაშვილების სახლის ჩხრეკა დაიწყეს. დაახლოებით ორსაათიანი "მუშაობის" შემდეგ, მათ 1600 დოლარს, 600 ლარსა და ოქროს ნივთებს მიაგნეს. ნადავლით დატვირთული თავდამსხმელები გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდნენ. ერთადერთი, რაც ყაჩაღებმა გაძარცვულ ოჯახს დაუტოვეს, "ფორდის" მარკის ავტობუსია.

სასტიკი ცემისგან უგონო მდგომარეობაში მყოფი ნაროუშვილების მთელი ოჯახი მეზობლებმა სასწრაფოდ ზუგდიდის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღემდე მძიმეა.

როგორც ჩვენთან საუბარისას სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის უფროსის მოადგილემ სერგო ჩაჩიბაიამ თქვა, ნაროუშვილებზე მომხდარი თავდასხმა სისასტიკითა და დაუნდობლობით გამოირჩევა. **"ყაჩაღებმა ოჯახის წევრები არ დაინდეს და ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს. ჩვენს პრაქტიკაში ასეთი სისასტიკით ჩადენილი დანაშაული იშვიათად გვინახავს. რაც მთავარია, ეს დაუნდობელი ადამიანები ქართველები იყვნენ. ისინი, სავარაუდოდ, ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. დაზარალებულების ნაამბობიდან გამოძიებისთვის ბევრი საინტერესო რამ შევიტყვეთ, მაგრამ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არაფრის თქმის უფლება არ გვაქვს",** - გვითხრა სერგო ჩაჩიბაიამ, რომელმაც ნაცემი ნაროუშვილები საავადმყოფოში მოინახულა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ნაროუშვილების ოჯახს ორი წლის წინათაც დასხმიან თავს. სამართალდამცველებს ყაჩაღები მაშინ ოპერატიულად დაუკავებიათ და ისინი ამჟამად სასჯელსაც იხდიან. ბოროტმოქმედების ნაროუშვილებით დაინტერესება კი მათ მცირე ოჯახურ ბიზნესთან ყოფილა დაკავშირებული.

### კალათბურთი

# წელს ბევრი სიახლეა

**საქართველოს მე-12 ჩემპიონატი. პირველი ტური:** *აკადემია -- დინამო 60:100, თსუ -- ბასკო 84:107, სტუ ჯეოსელი -- ქუთაისი 116:71, მაკაბი -- აზოტი 85:97.*

იშვიათი შემთხვევაა - ეროვნული ჩემპიონატის პირველივე ტურიდან გუნდებს შორის ძალთა ბალანსი, ასე თუ ისე, გამოჩნდა. ნათელია, რომ წლევანდელ პირველობაზე მაღალი ადგილებისთვის, სავარაუდოდ, დინამო, ბასკო, სტუ, თსუ და აზოტი იბრძოლებენ. ამ გუნდებს შორის ფინანსურად მყარი "დინამოს" პერსპექტივები უფრო საიმედოდ გამოიყურება. თბილისელებმა მიზნად მხოლოდ ჩემპიონობა დაისახეს და სხვა შედეგის გაგონებაც არ სურთ.

ლევან მოსეშვილის განკარგულებაში საქართველოში შემორჩენილი თითქმის ყველა ძლიერი მოთამაშეა და თუ მათ უცხოელებიც დაემატებათ, "დინამოს" ამბიციები კიდევ უფრო გაიზრდება. უცხოელთა მოსაპატიჟებლად "დინამოს" მწვრთნელს იანვრამდე აქვს დრო. კალათბურთის ფედერაციამ გუნდებს, თავიანთი რიგების ბოლომდე დაკომპლექტებისთვის, სწორედ ეს ვადა დაუწესა.



მაკაბი–აზოტის თამაშის ფრაგმენტი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

"დინამოს" ამბიციები ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე, დუდუ დადიანის სახელობის ტურნირზე, გამოჩნდა. თბილისელებმა ყველა თამაში იოლად მოიგეს და ბუნებრივია, ჩემპიონატის პირველ ტურში საკალათბურთო აკადემიის ახალგაზრდული გუნდის დამარცხებაც არ გასჭირვებიათ. აკადემიამ, თავის მხრივ, "შევარდენის" ადგილი დაიკავა, რომელიც დაიშალა და დღესდღეობით აღარ არსებობს.

საქართველოს ბოლო წლების უცვლელმა ჩემპიონმა ბათუმის "ბასკომ" ასევე დიდი ანგარიშით დაამარცხა თსუ. ალბათ, ზღვისპირელთა წლევანდელი ამბიციებიც საჩემპიონო იქნება, მაგრამ, "დინამოს" შესამჩნევად გაძლიერების ფონზე, ბათუმელთა მწვრთნელს, ნუგზარ კანდელაკს გუნდის გაძლიერება მოუწევს.

რაც შეეხება თსუ-ს, "სტუ ჯეოსელსა" და "აზოტს", მათ მედლებისთვის ბრძოლის თანაბარი შანსი ექნებათ. ამ სამეულიდან დღეს მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი დამარცხდა. "აზოტმა" და სტუ-მ კი თავისი მატჩები მოიგეს.

ყურადღებას იპყრობს ჩემპიონატის ჩატარების ახალი სისტემაც. გუნდებს საშუალება ექნებათ, ბოლომდე დაამტკიცონ თავიანთი სიძლიერე, რადგან პლეი-ოფის შეხვედრები მხოლოდ ოთხი წრის შემდეგ დაიწყება. ჩემპიონატში მონაწილე 9 გუნდიდან პირველობის აუტსაიდერი ტურნირს ავტომატურად გამოეთიშება, დანარჩენი 8 კი ბრძოლას ოლიმპიური სისტემით გააგრძელებს. რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული მერვე ადგილზე გასულს შეხვდება. მეორე -- მეშვიდეს და ასე შემდეგ.

პლეი-ოფის მატჩები ორ მოგებამდე იქნება, ფინალი კი - სამ მოგებამდე.

### მინი-ფეხბურთი

# ჩემპიონთა ლიგა თბილისში

მიხეილ აბაიშვილი

დღეს სპორტის სასახლეში დაიწყება ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი მინი-ფეხბურთში, რომელშიც საქართველოს ჩემპიონის, თბილისის "იბერია 2000"-თან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ პორტუგალიის ჩემპიონი "ფრეიშეირო", რუსეთის ჩემპიონი "ნორილსკ ნიკელი" და ლატვიის ჩემპიონი "ოლიმპი". ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 8 ქვეჯგუფში დანაწილებული 32 გუნდი თამაშობს. შემდეგ სტადიაზე ითამაშებენ მხოლოდ ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდები. შესაბამისად, საქართველოს ჩემპიონს ევროპის საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრისათვის თბილისის ოთხდღიან ტურნირში გამარჯვება სჭირდება.

სამივე სტუმარი გუნდი გუშინ ჩამოვიდა თბილისში და სასტუმრო "პრიმავერაში" დაბინავდა. გუშინვე გუნდებმა სპორტის სასახლეში თითოსაათიანი ვარჯიში ჩაატარეს, ხოლო საღამოს რვა საათზე ტურნირის უნგრელ კომისარს, იშტვან ჰუსანს შეხვდნენ და დებულებას გაეცნენ. ამ საორგანიზაციო შეკრებაზე პორტუგალიის ჩემპიონის წარმომადგენელთა მოთხოვნით, ერთი შესწორება შეიტანეს - ნაცვლად წინასწარ გამოცხადებული 19 საათისა, თამაშები 15 წუთით ადრე დაიწყება, 18 საათზე და 45 წუთზე. პორტუგალიელებმა თავიანთი მოთხოვნა იმით დაასაბუთეს, რომ პირველ და მეორე თამაშს შორის არსებული მცირე დრო მათ გასავარჯიშებლად არ ეყოფოდათ.

რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონს, მინი-ფეხბურთის ქართველ მოყვარულებში უფრო კონტროლის პალატის სახელით ცნობილმა ამ გუნდმა ტურნირისათვის მოსამზადებელი 12-დღიანი შეკრება ფოთში გაიარა. როგორც "იბერია 2000"-ის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, ახლო წარსულში თბილისის "დინამოს" და საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა, გელა ინალიშვილმა გვითხრა, გუნდი ამ შეკრების დროს სასტუმრო "მალთაყვაში" იყო დაბინავებული და ვარჯიშისთვის ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ჩვენი გუნდი გარკვეულ საკადრო პრობლემებს განიცდის. ეჭვქვეშ იყო ორი ფეხბურთელის განაცხადში შეყვანის საკითხი. თუ საქართველოს მინი-ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტნის, დავით სოლოღაშვილის განაცხადში შეყვანა დადებითად გადაწყდა, ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მინი-ფეხბურთელი, ანდრო მიზანდარი ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებს. მიზანდარი მოსკოვის "სპარტაკში" ირიცხებოდა და, მართალია, მას "სპარტაკთან" დამაკავშირებელი კონტრაქტის ვადა ამოეწურა, მაგრამ ამ გუნდიდან გათავისუფლების ფურცელი ვერ მიიღო, რის გარეშეც მისი ნებისმიერ სხვა გუნდში ჩარიცხვა, უეფა-ს წესებით, არ შეიძლება.

ამის მიუხედავად, გელა ინალიშვილი საკმაოდ ოპტიმისტურადაა განწყობილი. იგი პირველი ადგილისათვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტებად "ფრეიშეიროს" და "ნორილსკ ნიკელს" მიიჩნევს. ეს ორი გუნდი, "იბერია 2000"-ისგან განსხვავებით, სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებში და, შესაბამისად, გამოცდილებაც მეტი აქვს. თუმცა, ჩვენი გუნდისთვის "საკუთარი კედლების" უპირატესობა საკმაოდ მნიშვნელოვანია.

გაგაცნობთ "იბერია 2000"-ის შემადგენლობას: კუპატაძე, ძაქაიძე, ჩიქოვანი, ცაავა, სოლოღაშვილი, კბილაძე, ალთუნაშვილი, სარქისიანი, დევდარიანი, სოფოევი, ალექსიძე, თოთლაძე, ჯიქია.

მინი-ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირის თბილისის ქვე-ჯგუფის თამაშების განრიგი

**6 სექტემბერი**

*18.45 "ფრეიშეირო" - "ნორილსკ ნიკელი"*

*20.30 "იბერია 2000" - "ოლიმპი"*

**7 სექტემბერი**

*18.45 "ნორილსკ ნიკელი" - "ოლიმპი"*

*20.30 "იბერია 2000" - "ფრეიშეირო"*

**9 სექტემბერი**

*18.45 "ოლიმპი" - "ფრეიშეირო"*

*20.30 "იბერია 2000" - "ნორილსკ ნიკელი"*

### ჩოგბურთი

# "ჟენია, მე შენთან ვარ!!!"

კახა ფაჩუაშვილი

მოსკოვში ამ დღეებში დიდი ამბებია. რუსთა მთავარი ქალაქი "კრემლის თასის" საჩოგბურთო ტურნირს მასპინძლობს, სადაც რუსეთის პირველი პრეზიდენტის, ბორის ელცინის "ძველი", დიდი ხნის ნაცნობ-მეგობარი ევგენი კაფელნიკოვი ასპარეზობს. თავის დროზე ბორის ნიკოლაევიჩი კაფელნიკოვის თამაშის დიდი მოტრფიალე და ქომაგი იყო და ჩოგბურთელთან საერთო რუსული "დერჟავნიკული" იდეების დანერგვა-გავრცელების საქმეშიც აქტიურად თანამშრომლობდა.

ჟენიამ და ბორის ნიკოლაევიჩმა ერთმანეთს კარგად გაუგეს. მოცალეობის ჟამს ჭიქა ჩაიზეც დიდხანს საუბრობდნენ. კაფელნიკოვის ხელშეწყობით ბორის ელცინი კორტების ხშირი სტუმარი გახდა. ჩოგბურთის თამაშიც დაიწყო და ასე დამეგობრდა პრეზიდენტი და ჩოგბურთელი.

სპორტი სპორტად, მაგრამ სამშობლოს დავიწყება არ ეგებისო და სოჭელი ჭაბუკი, სპორტული კუთხით, რუსული იდეოლოგიის მძლავრ მანქანად გადაიქცა. 1996 წელს კაფელნიკოვის პირველი დიდი გამარჯვება ლამის რუსული გონის საყოველთაო აღიარებად აღიქვეს. ელცინი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ჟენიას საფრანგეთის ღია პირველობის მოგება მიულოცა და დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ "რუსეთი იყო, არის და იქნება მსოფლიო "დერჟავა!".

საფრანგეთის შემდეგ ავსტრალიის ჯერი დადგა. 1999 წელს, ბორის ნიკოლაევიჩის ჯილამ არ გააწბილა თავისი პრეზიდენტი, "დიდი სლემის" მეორე ტურნირი, ავსტრალიის ღია ჩემპიონატი მოიგო და რუსი ახალგაზრდობის კერპი გახდა. სულიერი და ფიზიკური სრულყოფილების ნიმუში -- ევგენი კაფელნიკოვი, ლამის მიქელანჯელოს დავითს შეადარეს. იგი რუსი "მუჟიკებისთვის" მიბაძვის საუკეთესო საშუალებად იქცა. ასე ჩადგა ჟენია თავისდაუნებურად სახელმწიფო სამსახურში.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. კაფელნიკოვმა "დიდი სლემის" ტურნირი ველარ მოიგო. მთავრობაც შეიცვალა და ბორის ნიკოლაევიჩი, კრემლის თასის ტურნირს ერთი ჩვეულებრივი პენსიონერივით ეწვია, სადაც თავისი "ძველი მეგობარი" - ევგენი კაფელნიკოვი ეგულებოდა. იგი ყოფილი პრეზიდენტის წინაშე, მთელი ღირსებით წარსდგა.



ევგენი კაფელნიკოვი

REUTERS

ჟენიამ ელცინს კიდევ ერთხელ აუჩუყა გული. მერვედფინალში გერმანელი ნიკოლას კიფერი დაამარცხა და მოხუც "სამოდერჟეცს" თავისივე ორატორული ხელოვნების უტყუარი ნიმუში გაახსენა -- "რუსეთი, ასეთი "მუჟიკების" ხელში, იყო, არის და იქნება მსოფლიო "დერჟავა!"

ჟენიასთვის "ძველი მეგობრის" ვიზიტი დიდი სტიმული იყო. გადაწყდა, რუსეთის ნაკრებმა დევისის თასი უნდა მოიგოს. მერე რა, რომ ფინალი პარიზში გაიმართება, მერე რა, რომ რუსთა მეტოქე საფრანგეთია. რუსეთს ხომ ნაპოლეონის დროიდან მოყოლებული, ფრანგთა დამარცხების დიდი გამოცდილება აქვს? კაფელნიკოვი მეგობარ პრეზიდენტს მადლიერების გრძნობით შესცქეროდა. მან იცის, რომ ბორის ნიკოლაევიჩი არასოდეს გააწბილებს.

ატმოსფერო ისეთივე საზეიმო იყო, როგორც შორეულ 1958 წელს, როცა შვედეთში, მსოფლიო ჩემპიონატზე წასული საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები, მასპინძელთა წინააღმდეგ მეოთხედფინალური მატჩის წინ, ნიკიტა ხრუშჩოვმა დამოძღვრა - "შვედები გავანადგურეთ პოლტავასთან და გავანადგურებთ დღესაც" (ის მატჩი შვედების გამარჯვებით - 2:1 დამთავრდა). ასევე რიხიანად ელცინი და კაფელნიკოვი შეთანხმდნენ, რომ დევისის თასის ფინალში, საფრანგეთის ნაკრების დამარცხება უბრალოდ აუცილებელია.

ჟენია შეხვედრით აღფრთოვანებული დარჩა. პირველი, რაც მან მოიმოქმედა, პრესკონფერენციაზე გაქანდა და დამსწრე საზოგადოებას საზეიმოდ მოახსენა: "მატჩის შემდეგ ბორის ნიკოლაევიჩს ვესაუბრე და იგი დამპირდა, რომ პარიზში "ბერსის" კორტებზე, დევისის თასის ფინალს პირადად დაესწრება" (ახლა ბორის ელცინი იძულებულია, ნოემბრის ბოლოს პარიზს ყოველ მიზეზგარეშე ესტუმროს).

კაფელნიკოვმა აღნიშნა, რომ რუსეთის ნაკრებს პრესტიჟული ჯილდოს მოპოვების უნიკალური შანსი აქვს და ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოიყენოს. "ასეთი შანსი ჩემს სპორტულ კარიერაში შეიძლება აღარც მქონდეს", - განაცხადა ევგენი კაფელნიკოვმა.

მას თურმე თავისი პარიზული ჩოგნებიც წინასწარ გაუნაწილებია. გამარჯვების შემთხვევაში ერთ ჩოგანს თავის "ძველ მეგობარს", ქვეყნის პირველ პრეზიდენტს - ბორის ელცინს მიუძღვნის, მეორეს კი სახლში ჩამოკიდებს.

### მოკლედ

**ფეხბურთი.** იტალიური "მილანის" არგენტინელი ნახევარმცველი ფერნანდო რედონდო, წლინახევრიანი, იძულებითი შესვენების შემდეგ, ორშაბათს მინდორზე პირველად გამოვა. რედონდო ზვონიმირ ბობანის საბენეფისო მატჩში მიიღებს მონაწილეობას. წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, არგენტინელი მინდორზე ათ წუთს დაჰყოფს. ორი კვირის შემდეგ კი ფეხბურთელი "მილანთან" ერთადაც დაიწყებს ვარჯიშს. კლუბის ექიმის ჟან-პიერ მეერსემანის თქმით, რედონდომ სპორტული ფორმა უკვე აღიდგინა და მუხლიც არ აწუხებს. ამჟამად რედონდო ბელგიაში სარეაბილიტაციო კურსს გადის. არგენტინელი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეიყვანეს, ამიტომ მას მხოლოდ სერია "ა"-ში თამაში მოუწევს.

■ ■ ■



**ფეხბურთი.** გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ ცნობილი გერმანელი სპეციალისტი კრისტოფ დაუმი არჩევანის წინაშე იდგა. მას ერთბაშად ორი კლუბი, უკრაინის "შახტარი" და ავსტრიის "აუსტრია", ეპატიჟებოდა. დაუმის არჩევანი ავსტრიაზე შეჩერდა. უკრაინელთა წინადადება, თითქოს, უფრო მომხიბლავი ჩანდა, მაგრამ გერმანელმა სამშობლოსთან ახლოს ყოფნა ისურვა და ამიერიდან ვენაში იმუშავებს.

შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინათ კრისტოფ დაუმი, მას შემდეგ, რაც ორგანიზმში კოკაინის კვალი აღმოუჩინეს, ლევერკუზენის "ბაიერიდან" დაითხოვეს. წელს ნარკოტიკების შენახვა-გასაღების ბრალდებით დაუმს გასამართლებასაც უპირებდნენ, მაგრამ სასამართლომ გერმანელი სპეციალისტი გაამართლა.

■ ■ ■



**ფეხბურთი.** ლონდონის "არსენალის" ნახევარმცველმა ფრედერიკ ლიუნგბერგმა ჟურნალისტებს აუხსნა მიზეზი, რის გამოც "ლიდსისა" და "ოსერის" წინააღმდეგ მატჩები გამოტოვა. მას, თურმე, საშინელი თავის ტკივილები აწუხებდა.

"ტრავმა მოვიშუშე და თამაშსაც ვაპირებდი, მაგრამ "ლიდსთან" შეხვედრის წინ თავის აუტანელი ტკივილი ვიგრძენი. ეს კოშმარი იყო. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს თავი მისკდებოდა. ასეთ მდგომარეობაში კი თამაშზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. წამლებმა არ მიშველა, ამიტომ არსენ ვენგერს ვთხოვე, არ ვეთამაშებინე. რაღაც მომენტში მომეჩვენა, რომ მარცხენა ხელ-ფეხი წამერთვა, მაგრამ ნევროპათოლოგმა დამამშვიდა -- ინსულტის საშიშროება არ იყო. უბრალოდ, წნევამ უცბად ამიწია. "ოსერთან" თამაშის წინ თავი უკეთ ვიგრძენი, მაგრამ არა იმდენად, რომ ასეთ საპასუხისმგებლო მატჩში მეთამაშა. ხუთშაბათს, როგორც იქნა, შვება ვიგრძენი", -- განაცხადა ფრედერიკ ლიუნგბერგმა.

შვედმა ისიც აღიარა, რომ თავის პერიოდული ტკივილით იგი, 14 წელია, იტანჯება. ამ ხნის განმავლობაში ბევრი პრეპარატი მოსინჯა, მაგრამ შვება ვერ იგრძნო. მხოლოდ სამი წლის წინათ ლონდონის ნევროლოგიურ კლინიკაში ჩატარებულმა მკურნალობამ გამოიღო შედეგი, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, არცთუ დიდი ხნით.

■ ■ ■



**ფეხბურთი.** ბრაზილიელ რონალდოს მადრიდის "რეალის" ღირსება ჯერ არ დაუცავს, მაგრამ თავის ახალ კლუბს ფინანსური სარგებელი უკვე მოუტანა. ამჟამად გაყიდულია 120 000 ცალი 11-ნომრიანი მაისური, რომლითაც რონალდო ამ სეზონში ითამაშებს. ფორვარდის მადრიდში გადასვლიდან ერთი თვე გავიდა, მაგრამ მისი დებიუტი კვლავ ჯანჯლდება.იგი არც ამ უქმეებზე, ბასკური "ალავესის" წინააღმდეგ, არ ითამაშებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიელი სპორტული ექიმის ხულიო სესარ ალვეშის განცხადებით, თითქმის ყველა სამხრეთამერიკელი სპორტსმენი რეგულარულად იყენებს დოპინგს. სენსაციური განცხადების ავტორმა აღნიშნა, რომ გამონაკლისი არც ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებია, რომელმაც წელს მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო.

"დოპინგი, უკვე დიდი ხანია, ჩვენი ცხოვრების ნაწილი გახდა. მას ეტანებიან არა მხოლოდ მძლეოსნები, არამედ ფეხბურთელები, კალათბურთელები, ხელბურთელები და სხვები. უბრალოდ, ფეხბურთში იმას არ დაუშვებენ, რომ რომელიმე ცნობილი ფეხბურთელი დოპინგის ხმარებაში ამხილონ. ჩემი მხრიდან კი კონკრეტული გვარების დასახელება, უბრალოდ, არაეთიკურია, ამიტომ თავს შევიკავებ," -- ამბობს ალვეში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუნხენის "ბაიერნის" ხელმძღვანელობა თავის ორ ვეტერან მცველს 33 წლის მიხაელ ტარნატს და 35 წლის ტორსტენ ფინკს პენსიაზე უშვებს. კლუბმა ვეტერანებს მრავალწლიანი თანამშრომლობისთვის მადლობა მოახსენა და ახალი კლუბის მოძებნა შესთავაზა. დიდი ხნის მეგობრები -- ტარნატი და ფინკი ბოლო დროს ველარ ხვდებოდნენ ყველაზე ტიტულოვანი გერმანული კლუბის ძირითად შემადგენლობაში, ამიტომ წასვლის იდეა მათვე ეკუთვნით. "ჩვენ ენერგიით აღსავსენი ვართ და რამდენიმე სეზონის გატარება ნებისმიერ კლუბში შეგვიძლია, როგორც გერმანიაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებენ ვეტერანები საფეხბურთო კარიერას. რაც შეეხება "ბაიერნს", ის ვეტერანებს პრობლემებს არ შეუქმნის და შეიძლება, სიმბოლურ თანხის საფასურადაც შეელიოს მათ.

■ ■ ■



**ჩოგბურთი.** აშშ-ის ნაკრების კაპიტანმა პატრიკ მაკენროიმ განაცხადა, რომ პიტ სამპრასისა და ანდრე აგასის იმედი აღარ ექნება. აშშ-ის ღია პირველობის ფინალისტებმა უარი თქვეს, ეთამაშათ დევისის თასის ნახევარფინალში, რომელშიც აშშ-ის გუნდი ფრანგებთან პაექრობაში დამარცხდა. სამპრასმა გადაღლა მოიმიზეზა, აგასიმ კი ნაკრების ხელმძღვანელობას დიდი ხნით ადრე აცნობა, რომ ნახევარფინალში მონაწილეობას არ მიიღებდა.

"პიტისა და ანდრეს ნაკრებში თამაშის შესახებ საკითხი აღარ დაისმება.ეს ჩოგბურთელები ჩვენთვის უკვე წარსულია. მოვიდა დრო, როცა პიტისა და ანდრეს მიმართ განუწყვეტელ თხოვნებს უნდა შევეშვათ და აქცენტი ახალგაზრდებზე გადავიტანოთ. ისეთებზე, როგორიც ენდი როდიკი, ჯეიმს ბლეიკი, ტეილორ დენტი, მარდი ფიში და ტყუპი ძმები -- ბრაიან და მაიკ ბილები არიან.

ამერიკის ნაკრებს დევისის თასის ახალი გათამაშების პირველ მატჩამდე ცოტა დრო რჩება. 7-9 თებერვალს გუნდი პირველ შეხვედრას ხორვატიაში გამართავს. შეგახსენებთ, რომ აშშ-ის ნაკრები დევისის თასს 31-ჯერ ფლობდა, რაც მსოფლიო რეკორდია, მაგრამ 1995 წლის შემდეგ ამერიკელებს გამარჯვება აღარ უზეიმიათ. ფინალში კი აშშ-ის გუნდი უკანასკნელად ხუთი წლის წინათ გავიდა.

■ ■ ■



**ჩოგბურთი.** ცნობილმა გერმანელმა ჩოგბურთელმა ბორის ბეკერმა გერმანიის ღია პირველობის ჩატარების ფინანსური უფლება მოიპოვა. ჰამბურგის ტურნირი უძველესია გერმანიაში. ამრიგად, გერმანიის ღია ჩემპიონატი, რომელიც გაკოტრების ზღვარზე იდგა, მომავალ სეზონზე დანიშნულ დროს ჩატარდება. შვეიცარიული კომპანია bci, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ბორის ბეკერია, ლონდონის ფირმა "ეის გრუპთან" ერთად, შეთანხმდა, რომ 2003 წელს ტურნირის საჭიროებისთვის ნახევარ მილიონ ევროს გაიღებს.

■ ■ ■

**შუბის ტყორცნა.** მსოფლიოს რეკორდსმენსა და სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, ჩეხ იან ჟელეზნის, დიდი ხანია, გვერდი აწუხებს. ამის გამო სპორტსმენმა მიუნხენის ევროპის ჩემპიონატიც გამოტოვა. სამედიცინო შემოწმებაზე ჟელეზნის ნეკნზე წანაზარდი აღმოუჩინეს და უახლოეს მომავალში ოპერაციას გაუკეთებენ.

■ ■ ■

**აზიური თამაშები.** აზიური თამაშები მოულოდნელობითაა აღსავსე. 77 კგ. წონით კატეგორიაში ყაზახმა სერგეი ფილიმონოვმა და ჩინელმა ლი ხუნლიმ ატაცში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარეს (173 კგ.). მათ 0,5 კილოგრამით გააუმჯობესეს ბულგარელი პლამენ ჟელიაზკოვის წინა მიღწევა.

■ ■ ■

**ფორმულა** 1. "უილიმსის" გუნდის ხელმძღვანელობამ უარყო ხმები იმის შესახებ, რომ bmv-სთან თანამშრომლობს. არადა, ხმები ამ თანამშრომლობის შესახებ, დიდი ხანია ვრცელდება. "ჩვენ კულისებს მიღმა მოლაპარაკებებს ვერ ვამჩნევთ", -- განაცხადა "უილიამსის" საჯინიბოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯიმ რაიტმა.

■ ■ ■

**ფრენბურთი.** არგენტინაში ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ეტაპის მატჩები დაიწყო. g ჯგუფი: იტალია -- ბულგარეთი 3:2, არგენტინა -- იაპონია 3:2; h ჯგუფი: პორტუგალია -- ესპანეთი 3:2, პოლონეთი -- რუსეთი 2:3; j ჯგუფი: ბრაზილია -- ჩეხეთი 3:0, ჰოლანდია -- საფრანგეთი 0:3; k ჯგუფი: იუგოსლავია -- საბერძნეთი 3:0, აშშ -- ჩინეთი 3:0.

■ ■ ■

**ჭადრაკი.** ბახრეინის ქალაქ მანამში გაიმართა "საუკუნის მატჩის" პირველი პარტია რუს ვლადიმირ კრამნიკსა და "დიპ ფრიცს" შორის. სადებიუტო პარტიაში თეთრი ფიგურებით კომპიუტერი თამაშობდა. კრამნიკმა სპეციალისტთა მოლოდინი არ გააცრუა და მანქანას ესპანური პარტიის ბერლინული სისტემა შესთავაზა. თუმცა, კრამნიკმა, როგორც მას ჩვევია, სადებიუტო პრობლემები ერთბაშად ვერ მოაგვარა. პირიქით, კუს ენდშპილში კომპიუტერს გამარჯვების ხელსაყრელი შანსიც მიეცა, მაგრამ როგორც იტყობინებიან, "დიპ ფრიცმა" ბავშვური შეცდომა დაუშვა და მეტოქეები დაზავდნენ. მსოფლიო ჩემპიონს ძალიან გაუმართლა. იგი დამარცხებასთან ძალზე ახლოს იყო, თანაც გულში ხინჯით - კომპიუტერმა ხომ კრამნიკის საფირმო სადებიუტო "კედელი" გაანადგურა. თუმცა, ბოლო მომენტში მოჭადრაკე მაინც დაინდო. მომდევნო პარტია დღეს გაიმართება. თეთრი ფიგურებით კრამნიკი ითამაშებს.

გახსენება

# "გურამობა" ლატალში

(რეპორტაჟი სვანეთიდან)

დავით ჯავახიშვილი

"ალპინიზმი უმსხვერპლოდ შეუძლებელია", - წერდა თავის დღიურში იმ დროისათვის უკვე საქვეყნოდ ცნობილი მთამსვლელი და ფოტოხელოვანი გურამ თიკანაძე. ამ მწარე სიმართლით ის ალბათ ცდილობდა, ოდნავ მაინც გაენელებინა დიდი გულისტკივილი, რომელსაც განიცდიდა უახლოესი მეგობრებისა და კოლეგების დაღუპვის გამო მრისხანე მწვერვალებთან ჭიდილში.

ეს დასკვნა უტყუარი წინათგრძნობა აღმოჩნდა თვით გურამისთვის: 1963 წლის 27 აგვისტოს, შხარადან დაშვებისას, ერთ-ერთმა პალომ უმუხთლა და წერტილი დაუსვა მის ამქვეყნიურ ლამაზ სიცოცხლეს.

მთელმა საქართველომ, განსაკუთრებით კი - სვანებმა, ალალი ცრემლით დაიტირა თავისი არაჩვეულებრივად დარბაისელი და ახოვანი შვილი, მართლაც რომ მზეჭაბუკი.

მას შემდეგ აგერ ორმოცი წელი სრულდება, მაგრამ გურამის ნათელ ხსოვნას არასოდეს მისდგომია დავიწყების ჩრდილი; დაუვიწყარია, აგრეთვე მანამდე თუ მომდევნო წლებში დაღუპულ ქართველ მთამსვლელთა სახელებიც.

სექტემბერში გურამ თიკანაძეს 70 წელი შეუსრულდებოდა. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის პატივსაცემად მესტიის რაიონის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი ლატალი, დღევანდელი არცთუ დალხენილი ყოფის მიუხედავად, დიდპატარიანა ფეხზე დამდგარა და სტუმართა მიწვევამაც თბილისამდე დროულად ჩამოაღწია.

არასამთავრობო ორგანიზაციის - "საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირისა" და "საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის წევრებმა" ეს ამბავი გურამის ქალიშვილისაგან შევიტყვეთ. ია თიკანაძე, ჩვენდა გასახარად, საოცრად ჰგავს თავის საამაყო მამას, როგორც გარეგნული მშვენიერებით, ასევე შინაგანი ღირსებითა და წონასწორობით. ლატალიდან მიღებულ მიწვევას მან თავის მხრივ ისეთი გულთბილი პატიჟი დაამატა, რომ სხვაც რომ არაფერი ყოფილიყო, მხოლოდ ამის გამო, არწასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

ჩინებული მძღოლის, ჯემალ გაბურდანის ჩათვლით, ჩვენი ეკიპაჟი თავისი შემადგენლობით სავსებით შესაფერი აღმოჩნდა მგზავრობის მიზნისა; თოთხმეტივენი გურამ თიკანაძის ხსოვნის ღრმად პატივისმცემელი და მთაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები გახლდით (გივი ქართველიშვილი, ჯუმბერ ხანთაძე, ლევან და მანანა ჯაფარიძეები, ბერდო გოიშვილი, გურამ და ლიკა კალანდაძეები, ნუგზარ ზოიძე, დომენტი გაბუნია, ქეთევან და სალომე გვარამიები, ჟუკა კახიანი და ამ წერილის ავტორი).

ხალისიანი განწყობით ვიძვრით ადგილიდან; წინ შესანიშნავი მარშრუტი გველის: ქართლს იმერეთი შეცვლის, იმერეთს - სამეგრელო, სამეგრელოს - ქვემო სვანეთი... გურია გვერდზე დაგვრჩება, მაგრამ არა უშავს, "ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი... რაჭა"! - ვხუმრობ გუნებაში. გივიც აგერ არის! ის უკვე მცხეთაში უხსნის პირს თავის უზარმაზარ, ჯადოსნურ "გუდას", ანუ ჩანთას, და იშლება მართლაც ზღაპრული "მოძრავი" სუფრა მანქანის სალონში. იწყება ტკბილ-მწარე მოგონებებით შემკული სადღეგრძელოები. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ამ მგზავრობის მიზეზი და მიზანია დასალოცი. ახალგაზრდების გარდა, ჩვენ ყველანი, გურამ თიკანაძეს პირადად და, მეტ-ნაკლებად, ახლოს ვიცნობდით. აუჰ, რა დრო გასულა მას შემდეგ, რაც მისი ხელმძღვანელობით გივიმ და ლევანმა უშბა დალაშქრეს! წელთა სიმრავლეს ვერაფერი დაუკლია მათი იმდროინდელი სიხარულისა და ბედნიერებისათვის, და მათი ნაამბობი, მიუხედავად მასში უნებურად შერეული ნაღველისა, მსმენელებსაც იმ სიხარულისა და ბედნიერების თანამოზიარეებად გვხდის. ამას მოსდევს იას სადღეგრძელო. გურამის შვილიშვილი, დიდთვალება პატარა გური შავდია, ლატალში გვიცდის. ხვალ ის თავად ნახავს და დარწმუნდება, თუ ვინ იყო გურამ თიკანაძე სვანეთისათვის, რაც უეჭველად დააჩქარებს მის დავაჟკაცებას, და ჩვენ წინასწარ გვიხარია, რომ ამის დამსწრენიც და მომსწრენიც ვიქნებით.

მანქანა მიჰქრის თანაბარი, კრეისერული სიჩქარით. ნადღეგრძელებია უკვე ქართლიც, იმერეთიც, სამეგრელოც, გურიაც, აჭარაც, კახეთიც, თუშეთიც, ფშავიც, ხევსურეთიც, მთიულეთიც, რაჭაც და ლეჩხუმიც; სვანეთი ხომ თავისთავად და არაერთხელ, სხვადასხვა კონტექსტში. რაღა დაგვრჩენია, არ არის ძნელი მისახვედრი, მით უფრო, რაკი ენგურს მივადექით. გულს რაღაც ძიძგნის. გინდა და არც გინდა ამაზე ლაპარაკი; არც ფიქრი; მაგრამ ვერ იშორებ. არადა, ან ერთი, ან მეორე საქმეს რას შველის?! აგერ, ენგურჰესის გრანდიოზული კაშხალი (და ამის პატრონი მეცხრეა თუ მეათე ბლოკს უნდა შესციცინებდე?). გასცდები კაშხალს და თვალში უცებ რუსეთის დროშა გეჩხირება, იქვე - ორმაგი შლაგბაუმით; საგანგებოდ გამაღიზიანებელი ზლაზვნით გიახლოვდება კბილებამდე შეიარაღებული სალდათი, ე.წ. "მშვიდობის შემოქმედი" (სიტყვა-სიტყვით მისი სტატუსი დიახაც ასე ითარგმნება, იმდენი მაგას რა ვუთხარი!); უნდა - გაგჩხრეკს, უნდა - გენდობა და ისე გაგატარებს, ან სულაც არ გაგატარებს; ისღა დაგრჩენია, ბოლმა გულში ჩაიხვიო და მთელ ერზე არ განავრცო პოლიტიკოსთა სიძულვილი.

გუნებაწამხდარნი, მოშხამულნი განვაგრძობთ გზას. მძიმე სიჩუმე ცვლის მხიარულებას მანქანის სალონში. მაგრამ თვალწარმტაცი ბუნების ღვთაებრივი სილამაზე მალე ფანტავს ცუდ ფიქრებს, კვლავ სიცოცხლის სიხარული და გამარჯვების რწმენა, ჯერ წვეთ-წვეთად, მერე კი უკვე ძლიერ ნაკადად გეღვრება გულში. სადაცაა წყალსაცავს გავცდებით, რომლის ყელში ვეებერთელა ტივად შეკრულა ენგურის ჩამოტანილი საუკეთესო ხე-ტყე, ალბათ - ათასობით კუბური მეტრი, და ასე უგულოდ, ასე უქმად ლპება ეს ძვირფასი განძი.

აი, ენგური უკვე ამოძრავებულა. ჯერ ძლივს შესამჩნევად, მდორედ მოედინება, თანდათან მატულობს მისი სიჩქარე, მატულობს ხმაურიც; მალე ის გამაყრუებელ გრგვინვად იქცევა და, რაც კი ხვდება თავის გზაზე, ყველაფერს მოლეწავს, მონგრევს, უკვალოდ ფქვავს ველურ მხეცად ქცეული ენგური.

გავიარეთ ხუდონჰესის თითქმის დამთავრებული გრანდიოზული მშენებლობის ულმერთოდ გაპარტახებული ნაშთები; ამასობაში დიზიც უკან დაგვრჩა, ერთ დროს ცნობილი თავისი მარმარილოს კარიერებით; აქაც ყველაფერი გაჩერებულა, როგორც ზღაპრულ "მძინარე სამეფოში" და, საითაც გაიხედავ, ყველგან უქმად ყრია ულამაზესი მარმარილოს ვეება ლოდები.

სუფთა მდინარეს რომ აამღვრევს ხოლმე მისი რომელიმე შენაკადი, ფიქრმაც ეგრე იცის, მაგრამ ზოგჯერ პირიქითაც ხდება. აი, მაგალითად, ახლა: ამღვრეულ ენგურს მარჯვნიდან მუდამ ანკარა ნაკრა ერთვის თავისი ცისფერი, ქაფქაფა მორევებით და მისი დანახვა ტკბილ მოგონებათა ახალ ტალღას იწვევს ჩემშიცა და ჩემს თანამგზავრებშიც; ვიგონებთ სტუდენტობის ბედნიერ წლებს, ალპინიადებს, ნაკრის შესანიშნავ ბანაკს, იქ შეძენილ ძვირფას მეგობრებს, რომელთაგან ბევრი ცოცხალიც აღარ არის, და ამ მოგონებებში ზოგჯერ საოცარი სიცხადით გვიცოცხლდება ესა თუ ის პირადული განცდა (ზოგჯერ - რაღაცის იმდროინდელი გემო და წარმოიდგინეთ, ზოგჯერ - სუნიც კი), მაგრამ, მხოლოდ წამიერად, რადგან მეტი ხნით ის მოუხელთებელია და, ამიტომაც, ასეთი მდგომარეობა ძნელად მიიღწევა, იოგების ნირვანასავით: ერთს გაიფართხალებს გულში და გაქრება, გრჩება მხოლოდღა გულისმწიწკვნელი სინანული.

ამ მედიტაციათა წყალობით დრო შეუმჩნევლად გადის, და აი, თურმე უკვე ლატალს ვუახლოვდებით. საღამოვდება, ცაც მოღრუბლულია და ვშიშობთ, ვაითუ არ დაგვენახვა უშბა, თუნდაც გაბრაზებული და შუბლშეკრული. ბედმა გაგვიღიმა, დაღამებას ჩავასწარით და გზის ერთ-ერთი მოსახვევიდან ჯერ სვანეთის ქედზე გაიელვა პირველმა სითეთრემ, გამოჩნდა ლაილა (სვანურად - ლაჰლა), მერე კი, მარცხნივ...

მანქანა ჩერდება. ირგვლივ უკვე მუქი ბინდი ჩამოწოლილა, კავკასიონის მთავარი ქედი სქელი ღრუბლებით დაფარულა, მაგრამ ის, რის ნახვასაც ასე ვესწრაფოდით, ჩვენს წინაშეა. როგორც მერე გამოგვიტყდნენ, ასეთი უშბა თურმე მრავლისმნახველ მთამსვლელებსაც კი არ უნახავთ, მხოლოდ XIX საუკუნის გამოჩენილი იტალიელი ფოტოგრაფისა და მთამსვლელის, ვიტორიო სელას ერთ-ერთ ფოტოზეაო რაღაც მსგავსი რამ აღბეჭდილი; გურამ თიკანაძესაც ბევრჯერ გადაუღია უშბა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა რაკურსით, მაგრამ არც ერთი სურათი არ ჰგავს მეორეს. უშბა არასდროს მეორდება თურმე, მუდამ ახალია, მუდამ სხვანაირი. აი, ახლაც, სიზმარს უფრო ჰგავს ყველაფერი, ვიდრე სინამდვილეს. შორს, ქვემოთ, მონაცრისფრო ბინდში ჩაფლული ლატალი ჩანს ციცინათელებივით მოციმციმე სინათლეებით, მარცხნივ კი, ზემოთ, ძალიან ზემოთ, დაუჯერებლად ზემოთ, ჩამავალი მზის სხივებს ხანძარი გაუჩაღებიათ ზეცაში გაჩრილი გოლიათის თავზე. წუთიც არ გასულა ამის შემდეგ და "ხანძარი" უშბის თავზე უეცრად ჩაქრა; აქამდე თხელი, სიფრიფანა ნისლიც მის ირგვლივ უცებ გასქელდა და სიზმარიც ამით დამთავრდა. ასე მედიდურად გაგვეცალა უშბა - კავკასიონისა და სვანეთის მშვენება, ვისთვის - უზომო სიხარულისა და სიამაყის სათავე, ვისთვის - ბედისწერა და ამქვეყნიური ყოფის დასასრული.

პირადად მე უშბაზე არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი ვაჟი, ცოტნე კი ნამყოფია და მე საამაყოდ ესეც მყოფნის; დღეს ამ სიამაყეს გვიანი შიშიც ახლავს: თურმე სად ვუშვებდი! (ან კი, ვინ მეკითხებოდა?)...

ამის შემდეგ უშბისთვის თვალიც აღარ მოგვიკრავს, აღარც სხვა მწვერვალები გვინახავს, ცა სულ მოქუფრული იყო და მხოლოდ ღამღამობით იხსნებოდა. ნუგეშად ისღა გვრჩებოდა, რომ სვანეთში ჩვენი სტუმრობის მიზანს უამინდობა ხელს ვერ შეუშლიდა.

დაუვიწყარია ის გულწრფელი სიხარული, უაღრესი სითბო და მუდმივი ყურადღება, როგორითაც ლატალის სპორტული კომპლექსის დირექტორმა ვალერი ფარჯიანმა და მისი დიდი, მრავალრიცხოვანი ოჯახის თითოეულმა წევრმა გვიმასპინძლა. სვანური სტუმართმოყვარეობის მშვენიერ სიმბოლოდ იქცა ჩვენს თვალში ამ ოჯახის უმცროსი ქალიშვილი, 12 წლის თეონა ფარჯიანი. ეს პატარა, ცქრიალა ანგელოზი სულ იმის ცდაში იყო, როგორმე დაესწრო, გამოეცნო ჩვენი ესა თუ ის სურვილი და თვალის დახამხამებაში აესრულებინა იგი. ასევე გვექცეოდა მთელი ოჯახი თავის ნათესავებიან-მოყვრებიან-მეზობლებიანა.

ნახსენები სპორტული კომპლექსი გურამ თიკანაძის სახელობისაა. სვანურ სტილში მკვიდრად ნაგები ვეებერთელა კომპლექსი 1980 წელს ცნობილი ლატალელი სამთო-მოთხილამურისა და მთამსვლელის ბორის კახიანის თაოსნობით აშენებულა. რა იცოდა მან, რომ ამით არამარტო გურამ თიკანაძის სახელს უკვდავყოფდა, არამედ თავისთვისაც, თურმე სამარადისო ძეგლს იდგამდა განგების ნებით: დიდი დრო არ გასულა ამის შემდეგ, რომ ის თავადაც ტრაგიკულად დაღუპულა, ოღონდ არა მთაში, არამედ - ავტოკატასტროფის გამო, მძღოლთან ერთად, ენგურის დაუნდობელ ტალღებში. რა დასანანია ასეთი დიდსულოვანი ვაჟკაცის უდროო სიკვდილი!



გურამ თიკანაძე

ზეიმის დღეც დადგა.

დილიდან ჟინჟლავდა, მოწყენილი იყო ამინდი. დავათვალიერეთ სპორტული კომპლექსი: კრივისა და ჭიდაობის დარბაზები, გურამისა და ბორისის მემორიალური ოთახები, ვრცელი სააქტო დარბაზი. კედლებს გურამის უამრავი ფოტონამუშევარი ამშვენებს. გამორჩეულად ჩამრჩა მეხსიერებაში ორი მათგანი: ევერესტის პირველდამპყრობი, შერპი თენსინგ ნორგეი პატარა ია თიკანაძით ხელში, და მეორე - გურამის დის, რუსიკო თიკანაძის მშვენიერი პორტრეტი.

სააქტო დარბაზი წინასწარვე ხალხით სავსე დაგვხვდა, მოსწავლეები პირდაპირ სკოლიდან იყვნენ ჩანთებით მოსულნი.

ზეიმს სანაქებოდ გაუძღვა კომპლექსის კულტურის განყოფილების გამგე, რვაშვილიანი ოჯახის მამა, რომეო ფირცხელანი, რომელთან დაახლოებაც წუხელსვე მოვასწარით;

საზეიმო კონცერტის პირველ ნომრად გამოცხადდა მაჰალბი გულგულანის სახელობის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის გამოსვლა. ეს ანსამბლი 16 წლის წინ ჩამოყალიბებულა და მრავალჯერ გაუმარჯვნია რესპუბლიკურ თუ საკავშირო ოლიმპიადებზე. ამჟამად ანსამბლი ძირითადად ხანდაზმულ ლატალელთაგან შედგება, თავდაპირველ შემადგენლობას კი, სამწუხაროდ, უკვე 17 მონაწილე გამოკლებია. მიუხედავად ამისა, მათ მიერ შესრულებული სისხლის გამყინავი სვანური ზარი, "ლილეო", ხალხური ბალადები, ჰიმნები და საგალობლები მსმენელში, აღტაცების გარდა, გამარჯვების არაჩვეულებრივ იმედსა და რწმენას ჰბადებენ, მათი ცეცხლოვანი ცეკვა კი სიმართლისათვის გმირული ბრძოლისკენ მოწოდებად აღიქმის. ამ დავლურში საზეიმოდ მიიწვიეს და ჩართეს გურამის შვილიშვილი, პატარა გურამიც.

მოსწავლე ლელა ფარჯიანმა შთამბეჭდავად წაიკითხა ამ ცოტა ხნის წინ განსვენებული მურმან ლებანიძის ლექსი, მიძღვნილი გურამ თიკანაძის ხსოვნისადმი.

ბავშვთა გუნდმა მშვენივრად შეასრულა ხალხური "შავლეგო".

საოცრად გულშიჩამწვდომ, ნაღვლიან ჰანგზე ააჟღერა თვითნაკეთი სვანური საკრავი ჭუნირი (ჭიანური) ახალგაზრდა ბესიკ ფირცხელანმა.

ლატალის ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა, ვახტანგ ფილფანის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით, შესანიშნავად შეასრულა თანამედროვე საესტრადო სიმღერები, მაგრამ საუკეთესო მათ რეპერტუარში მაინც იამზე ფილფანის ლირიკული ნაწარმოები გამოდგა.

გულთბილი მოგონებებით გამოვიდნენ პროფესორები - შოთა ჩართოლანი, ბერდო გოიშვილი და ლევან ჯაფარიძე; პოეტი ვალიკო საღლიანი; ილიკო გაბლიანის ქალიშვილი ციური გაბლიანი; გივი ქართველიშვილი; მთამსვლელი გივი წერედიანი. ბოლოს კი მადლიერების გამომხატველი გულისამაჟუჩებელი სიტყვები წარმოთქვეს ია თიკანაძემ და მისმა დედამ, წარსულში პოპულარულმა ტელედიქტორმა, ირინე მათიაშვილმა, თუმც ვერც ერთმა და ვერც მეორემ, თვალთმომდგარ ცრემლთა გამო, ბოლომდე ვერ მიიყვანეს სათქმელი, რამაც უფრო ძვირფასი გახადა მათი უზომო მადლიერების სიწრფელე.

ზეიმს ესწრებოდა ლატალის გამგებელი ვალერი ჯოკიას ძე კვანჭიანი.

ამ შესანიშნავმა დღემ, ნამდვილმა სახალხო ზეიმმა - "გურამობამ", უნებურად გამახსენა უკვე რამდენჯერმე გამართული დოღი ბარისახოში, რომელიც აგრეთვე გურამის, ოღონდ - რჩეულიშვილის, სულის მოსახსენიებლადაა თვით ხევსურთ მიერ დაწესებული. იმედია, დამეთანხმებით, რომ ეს პარალელი არ არის უადგილო და ნაძალადევი: ორივე ერთი თაობის შვილი იყო, ორივეს გურამი ერქვა, ორივეს მთა უყვარდა და ერთადაც ყოფილან მთაში (კავკასიონზე, კარპატებში), ორივეს რაინდული ქცევა ახასიათებდა და, თუმც ტემპერამენტით ერთიმეორისგან საგრძნობლად განსხვავდებოდნენ, სულიერად მაინც ძმები იყვნენ, რაც თავიანთი სიკვდილითაც კი დაამტკიცეს. წარუშლელი, ალალი ხსოვნის დამსახურება ხალხის გულში მხოლოდ და მხოლოდ გურამების მსგავს რაინდთა ხვედრია, - ლატალში ყოფნით ჩვენ კიდევ ერთხელ და თვალნათლივ დავრწმუნდით ამაში.

ნათქვამია, სტუმარო, დილას ოქრო ხარო და... აღარ გავაგრძელებ, ეს სიბრძნე ყველამ იცის. ვიცოდით ჩვენც, მაგრამ ვერაფრით შეველიეთ სვანეთის სილამაზეს, იქნებ ერთხელ კიდევ დავინახოთ უშბა და თეთნულდიო, ვინატრეთ გულში, ვარსკვლავიანმა ღამემაც მოგვატყუა, გავკადნიერდით და ერთი დღე კიდევ დავრჩით. ამინდმა საბოლოოდ გადაგვიწურა იმედი, უშგულში ასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. დილას კიდევ არა უშავდა, მოვასწარით მესტიაში ჩასვლა, მის შემოგარენშიც გავისეირნეთ, მერე კი გაწვიმდა და აღარ გადაიღო. მუზეუმებს მივაშურეთ. ჯერ შოთა ჩართოლანმა დაგვათვალიერებინა არქეოლოგიური ცენტრი, მდიდარი საინტერესო განათხარი მასალით, რის გამოფენასაც ვიტრინები არ ჰყოფნით და უმეტესი ნაწილი ყუთებში ინახება; შემდეგ მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს ვეწვიეთ და აქაც დაახლოებით იგივე მდგომარეობა ვნახეთ: შესანიშნავი ექსპონატები პატარა ოთახებშია შეყუჟული, მაგრამ ამ საქმეს თურმე მალე ეშველება: მუზეუმი ახალ შენობაში გადადის, არქეოლოგიური ცენტრი კი ამის ხარჯზე გაფართოვდება. ღმერთმა ქნას, თორემ მართლა ცოდოა აქ დაცული უნიკალური ხატები და ხელნაწერები, რომელთა გამოფენა მსოფლიოს ნებისმიერ მუზეუმს დაამშვენებდა.

მესტიაში დაგვხვდა წარსულში სახელგანთქმული მოთხილამურე და ახალგაზრდა სპორტსმენთა უბადლო აღმზრდელი გივი ჯაფარიძე და სახელდახელოდ გვიმასპინძლა. დღესაც თვალწინ მიდგას მისი თავზეხელაღებული ქროლვა კოხტისა და მიტარბის ურთულეს ტრასებზე, მახსოვს მისი ბრწყინვალე გამარჯვებებიც.

საღამოს სუფრას ფარჯიანების ოჯახში შოთა ჩართოლანი გაუძღვა. ყველაფერი ითქვა, რაც საჭირო იყო, კიდევ და კიდევ: ამიტომაც, აღარაფერს გავიმეორებ; იმასღა ვიტყვი, რომ უშგულში არწასვლის გადაწყვეტილებაც კიდევ ერთხელ და დამაჯერებლად იქნა აქ დასაბუთებული: შხარას მაინც ვერ დაინახავთ, ამინდი არ ვარგაო; გზაც უვარგისია, ვინ იცის, სულაც გაფუჭდესო; და ბოლოს, უკანგზა დიდი გიდევთ თბილისამდე, დაიღლებით და გაწვალდებითო. სამივე აზრი სალი იყო და რა გვეთქმოდა. გადაწყდა: ხვალ შინისაკენ მივემგზავრებით.

ცხადია, არ მინდა ასე დავამთავრო ეს წერილი, მაგრამ ვიცი, რაც უნდა ვეცადო, ციდან მიწაზე ჩამოქვეითებული კაცის გულაცრუებას მაინც ვერ გავექცევი. გინდა-არ გინდა, უკანგზაც ბევრად უფრო პროზაულია იქითობასთან შედარებით. თუმცა კი სვანეთის ბუნების სიდიადეს ეს გარემოება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს და უფრო საგრძნობსა ხდის. მოდიხარ, მოდიხარ, სულ თავქვე მოდიხარ, სულ კარგავ სიმაღლეს, მთებს კი, გარშემო, თითქოს არაფერი აკლდება, კვლავ დევებივით წამოგდგომიან თავს და მოგაცილებენ მდუმარედ, დიდსულოვანი, შემწყნარებლური ღიმილით. ამაღამ უკვე სახლებში ვიქნებით და ქალაქური ყოფის წვრილმანებში ჩავეფლობით, სვანეთი კი, თავისი მომაჯადოვებელი მკაცრი სილამაზით, თავისი კოშკებით, ცადაზიდული უშბითა და თეთნულდით, "ლილეოთი" და "გურამობით" სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, როგორც კიდევ ერთი მიახლოვება ზეციურ სამყაროსთან, როგორც კიდევ ერთი ცხადში ახდენილი ზღაპრული სიზმარი.

კალენდარი

6 ოქტომბერი



"ლაპარაკს ხატვას ვამჯობინებ, ვხატავ სწრაფად, თანაც ხატვის დროს ტყუილისთვის ადგილი აღარ რჩება," – ამბობდა შვეიცარიელი არქიტექტორი ლე კორბუზიე, ადამიანი, რომელიც ფართო მასშტაბებით აზროვნებდა. ხელოვანი დარწმუნებული იყო, რომ ახალი ინდუსტრიული ეპოქა ახალი ტიპის არქიტექტურას მოითხოვდა და აცხადებდა: ჩვენ ყველაფერი თავიდან, ნულიდან უნდა დავიწყოთო. ახალი არქიტექტურა, რომელსაც ის ემსახურებოდა, ინტერნაციონალური არქიტექტურის სახელით შევიდა ხელოვნების ისტორიაში. ის დაუღალავად მოუწოდებდა ყველა ხელოვანს ნოვატორობისაკენ, საზოგადოებას პამფლეტებითა და მანიფესტებით მიმართავდა, აწყობდა გამოფენებს, უშვებდა ჟურნალს და წერდა უამრავ წიგნს ინტერიერის დეკორაციებზე, ფერწერასა თუ არქიტექტურაზე. და თუმცა ზოგი მას ტექნიკოსად მიიჩნევდა, ლე კორბუზიე ნამდვილი ხელოვანი იყო.

**ლე კორბუზიე** 1887 წლის 6 ოქტომბერს დაიბადა.

# "ქართველები" ნიჭიერი ხელოვანების სამსახურში

ნანა ბასილაშვილი

**გუშინ კომპოზიტორთა სახლში ერთდროულად ორი პრეზენტაცია გაიმართა. ხელოვნების მუშაკთა სახლისა და თბილისის მერიის კულტურის სამსახურის თაოსნობით, კულტურულ ურთიერთობათა საერთაშორისო ფონდი შეიქმნა. ფონდმა კი საკუთარ პრეზენტაციაზე, საზოგადოებას ახალი ქართული ხალხური ანსამბლი წარუდგინა. ფონდმაც და ანსამბლმაც ერთიდაიგივე სახელწოდება ("ქართველები") აირჩიეს.**

კულტურულ ურთიერთობათა საერთაშორისო ფონდი "ქართველები," ფორმალურად, ივლისის თვეში შეიქმნა. რეალურად კი ახლახან დაიწყო ფუნქციონირება. გუშინდელ დღემდე ისინი თავიანთ პირველ ღონისძიებაზე მუშაობდნენ და საზოგადოების წინაშე სწორედ ამ "ნამუშევრით" წარდგნენ. "ქართველების" შესახებ პირველი სიტყვა ფონდის თავმჯდომარემ, ეთერ ეზუმბაიამ წარმოთქვა.მან დამსწრეთ ფონდის დამფუძნებლებლები, ქეთევან თოფურია და რევაზ მათეშვილი, გააცნო. "ჩვენი ფონდის მიზანია, დავეხმაროთ ყველა იმ ნაცნობ თუ უცნობ ხელოვანს, რომელთაც დღევანდელი სოციალური გარემო თვითრეალიზაციის საშუალებას არ აძლევს", - მოკლედ განმარტა ქეთევან თოფურიამ "ქართველების" ძირითადი საქმიანობა.ეს სიტყვები იქვე საქმით დადასტურდა - საზოგადოების წინაშე წარდგა მათი დახმარებითა და ხელშეწყობით ჩამოყალიბებული ახალი ქართული ხალხური ანსამბლი "ქართველები." "ქართველები", "ქართველებს" არ ჩამორჩნენ და დამსწრეთ საკუთარი შემოქმედებით გააცნეს თავი. მათ იქვე გამართეს პატარა კონცერტიც. "ოშოშხოია", "ხინწკალა", "და ვითარცა", "შენ მოხვალ" და სხვა ხალხური სიმღერები "მრავალჟამიერით" დააგვირგვინეს. ეს უკანასკნელი მათ ანსამბლ "ქართული ხმების" მომღერლებთან, თემურ ჭკუასელთან და გია ჭირაქაძესთან ერთად, შეასრულეს. ფონდი "ქართველების" ერთერთი მიზანი საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობაა. მათ უკვე მჭიდრო კავშირი დაამყარეს თურქულ - ქართული კულტურისა და განათლების ფონდთან. ფონდი მისი დამფუძნებლების თქმით, არაკომერციულია და ჯერჯერობით ენთუზიაზმითა და საკუთარი სახსრებით მუშაობს.



"ქართველები"

ბესო გულაშვილის ფოტო

"ქართველები" სამომავლოდ საინტერესო გამოფენების, ფესტივალების, სხვადასხვა აქციების მოწყობას გვპირდებიან, თუმცა მათი ყველა ღონისძიება, პრინციპულად, მხოლოდ უსახსრო, ნიჭიერი ხელოვანების წარმოჩინებისა და თვითრეალიზაციისათვის მოეწყობა.



საერო საზოგადოება "გარჯა" გიწვევთ ვეძისობის დღესასწაულზე, რომელიც გაიმართება ვეძისის წმინდა გიორგის მშენებარე ეკლესიის ტერიტორიაზე ა. წ. 6 ოქტომბერს, 12 სთ-ზე

# აფიშა

## საკონცერტო დარბაზები

**დიდი საკონცერტო დარბაზი**

მიუზიკლი "რქიანეთი", წარმოადგენს ანსამბლი "ივერია"
დას: 19:00, ფასი 5-8 ლარი

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**

დევიდ გილმორის ტრიო (აშშ)
დას: 20:00 სთ

## თეატრები

**რუსთაველის თეატრი**

სამუელ ბეკეტის "გოდოს მოლოდინში" რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00 ფასი; 1-10 ლარი

**თეატრალური სარდაფი**

"ინსტინქტი", რეჟ: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**ჭიჭის თეატრი„**

"ცხოვრება საწვავის გარეშე", რეჟ. ლელა ჭინჭარაული
დას: 20:00 სთ.

**აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლი**

"რიჩარდ III", რეჟ. კახა ბაკურაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 3 ლარი, სტუდენტებისათვის 1 ლარი

**თავისუფალი თეატრი**

"სისისხლიანი ქორწილი", რეჟ. გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**ახმეტელის თეატრი**

"მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**ძველი გალერეა**

გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, "მხატვრებთან ერთად", ეძღვნება სამხატვრო აკადემიის 80 წლის იუბილეს

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**

თანამედროვე ქართველი მხატვრები; ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება
TMS
გერმანელი მხატვრის რაინჰარდ შტანგლის გამოფენა

**„ქარვასლა„**

ვახო ბუღაძის ნამუშევრების გამოფენა, ფერწერა
დავით მონავარდისაშვილის პერსონალური გამოფენა, "სიბრტყესა და ფორმას შორის"
გახსნა 17:00 სთ

**ეროვნული გალერეა**

არქიტექტურის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა

**N გალერეა**

შვეიცარელი და ქართველი მხატვრების ერთობლივი გამოფენა; "ლანდშაფტი და ტერიტორია"

## კინოთეატრები

**„ამირანი„**

"ასტერიქსი და ობელიქსი", მთავარ როლებში: ჟერარ დეპარდიე, მონიკა ბელუჩი
დას: 14:00; 16:00; 20:00 სთ; ფასი: 5,6, ლარი
"ესაუბრე მას", რეჟ. პედრო ალმადოვარი
დას: 18:00; ფასი: 6,7 ლარი
მესამე საერთაშორისო კონოფესტივალი
"ოლიგარქი", პაველ ლუნგინი
დას: 22:00 სთ, ფასი 4,5 ლარი

**„რუსთაველი„**

"დიდი გამყინვარება", საბავშვო ანიმაციური ფილმი
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"განსხვავებული აზრი" რეჟ. სტივენ სპილბერგი, მთავარ როლში ტომ კრუზი
დას: 19:00, 21:30 სთ; ფასი 5,7 ლარი

## ბინები

სასწრაფოდ იყიდება 220 კვ/მ 5 ოთახიანი არასტანდარტული ბინა 10(12), 3 დიდი აივნით. სახლში ორი ლიფტია. საწყისი ფასი 37 000 დოლარი. მის: ფანასკერტელის ქ. XI კორპუსი, ტელ: 38-41-15, 899 94 44 84 (თინა ან რომა).

### იყიდება

იყიდება 3-ოთახიანი სუფთა ბინა გლდანში, ეკლესიასთან. ფასი 6 000. 30 22 36

იყიდება 3-ოთახიანი სუფთა ბინა დიდი ლოჯიით მაღალ ბელეტაჟზე ვაკეში. წყნეთის ქუჩა № 1. 23 12 22

იყიდება 1-ოთახიანი წინამძღვრიშვილის № 134-ში. 33 15 98

იყიდება არასტანდარტული 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა გურამიშვილის გამზირზე. 2(4). 61 65 04

იყიდება 4-ოთახიანი გარემონტებული ბინა იოსელიანის 37-ში (დოლიძის პარალელურად) მე-14 სართულზე. ფასი შეთანხმებით. 33 76 07

იყიდება არასტანდარტული 3-ოთახიანი (90 კვ.მ. საერთო ფართი, ჭერი 4.5 მ) ბინა ლეონიძისა და მაჩაბლის ქუჩის კუთხეში 3(3) სართულზე. 36 კვ.მ. მანსარდის დაშენების ნებართვით, ტელეფონით, სარდაფით. ფასი 38 000. 98 24 04, 8(99) 27 02 61

იყიდება საკუთარი სახლი ბელეტაჟზე 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, მაღაზიით და პურის საცხობით. შეიძლება განვადებაც. სანზონა, მუხრანის ქ. № 15. 61 86 93

იყიდება საკუთარი 4-ოთახიანი სახლი ბელეტაჟზე, ნაკვეთებით. ხაშურის რაიონში, სოფ. ტეზერში. ფასი 2500. 99 38 02

იყიდება ბინა თემქის დასახლების III მკრ-ში, III კვარტალი. ბ/აირით, რკინის კარით, ელგაყვანილობა, კოსმეტიკური რემონტით. საბაღე ნაკვეთით. 68 28 79

იყიდება ან იცვლება ნაკლებ ფართზე 4-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში 8(9) სართულზე ბ/აირით და ცხელი წყლით, მეტროსთან ახლოს. 52 73 72

იყიდება თუხარელის პროექტის პრივატიზებული 3-ოთახიანი ბინა. საერთო ფართი 117 კვ.მ. 2 ლოჯიით, მაკაგონის პარკეტით, ბ/აირით, ატმორით. 32 82 00, 53 73 99

იყიდება 2-ოთახიანი ყავლაშვილის პროექტის ბინა ნუცუბიძის IV პლატოზე 10(16) სართულზე. ფასი 6000 $. 32 05 48

იყიდება არასტანდარტული 4-ოთახიანი ბინა 1(8) მაღალ ბელეტაჟზე. ს.ფ. 140 კვ.მ. ს/ფასი 45000. ყიფშიძეზე. 23 05 00 საღამოს

იყიდება 1,5-ოთახიანი ბინა რუსთავში და მიწის ნაკვეთი გაჩიანში. ფასი შეთანხმებით. 96 53 15

სასწრაფოდ იყიდება 2-სართულიანი, 6-ოთახიანი სახლი მეტრო "ისანსა" და "სამგორს" შორის. ს/ფ. 12 500 $. 77 46 69, 8(99) 96 26 70 ვასიკო

იყიდება საგურამოს ცენტრში კაპიტალური სახლი. ს/ფ. 184 კვ.მ. დამხმ. 119 კვ.მ. ეზო 1000 კვ.მ. 37 09 13

### მიწის ნაკვეთები

იყიდება 40 კვ.მ.+15 კვ.მ. კომერციული ფართი ვერაზე, რომელიც მუშაობდა მაღაზიად. ს/ფასი 36 000. 8(99) 51 58 54

იყიდება 650 კვ.მ. ნაკვეთი მუხათწყაროში გაზეთ "სოფლის ცხოვრების" აგარაკებზე. ტყეში. გაჭრილი არის ჭა. ფასი შეთანხმებით. 22 25 76

### კომერციული ფართი

იყიდება 500 კვ.მ. რესტორანი რუსთაველზე ყველანაირი აღჭურვილობით. 79 90 48

ვიქირავებ კაფე-ბარს ხალხმრავალ ადგილზე. 39 70 41, 8(99) 24 39 26

ვიქირავებ საოფისედ ფართს ხალხმრავალ ადგილზე (1 ოთახს) ქუჩაში გამავალი შესასვლელით. 39 70 41, 8(99) 24 39 26

## ბინები

### ქირა

ვიგირავებ 2- ან 3-ოთახიან კეთილმოწყობილ ბინას ქალაქის ცენტრში 4 000-დან 15 000-მდე. 92 39 68

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა სოლოლაკში ტაბიძეზე. სასურველი იქნება 2 სტუდენტი გოგონა. ფასი 120 $. 98 39 24

გირავდება საკუთარი სახლის 1 ოთახი მეტრო "სამგორთან". 70 81 65

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში (იხ. ფოტო). ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

## მანქანები

ვცვლი BMW-320 6-ცილინდრიანი, 4-კარიანი, იდეალურ მდგომარეობაში ავტომანქანა ნივაზე, ასევე იდეალურ მდგომარეობაში. 29 39 09

იყიდება "ჯიპ-ჩეროკი 4.0" 1989 წლის. სრული ავტომატიკა. საუკეთესო მდგომარეობაში. კონდიციონერით. სრული ელ-პაკეტით. 33 50 51, 8(99) 57 52 74

## სწავლება

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ქიმიასა და ბიოლოგიაში შეღავათიან ფასებში. ბინაზე მისვლით. 35 49 83 ლალი

ვამზადებ ფრანგულში. 33 12 05

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოამზადებს ქიმია-ბიოლოგიაში, რუსულ და ქართულ ენებში იაფად. 77 84 11

ვამზადებ იტალიურ კერძებს. ვიმუშავებ სასტუმროში ან უცხოელებთან. 79 65 33

მოვამზადებ გერმანულ ენაში. 96 76 46

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ინგლისურ ენაში ყველა სახის მეთოდით. ფასი შეთანხმებით. 69 25 75

ვასწავლი ნებისმიერი ასაკის მსურველს ესპანურ ენას, ასევე ვთარგმნი ესპანურიდან ქართულზე და პირიქით. 61 00 84, 8(99) 94 84 85

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Excell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი

მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69, (899) 551504

იყიდება ავტოფარეხი. კანდელაკის ქ. № 10. 38 04 59

მოვამზადებ გერმანულ ენაში. 30 99 01 ნინო

ვასწავლი რუსულ ენას, შესაძლებელია ბინაზე მისვლა. 53 05 74 (20 სთ-ის შემდეგ)

უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი მოამზადებს ნებისმიერ მსურველს ბინაზე მისვლით. 79 41 06

ვამზადებ ინგლისურ ენაში. ფასი შეთანხმებით. 98 39 24

მოვამზადებ აბიტურიენტებს გეოგრაფიაში და ბიოლოგიაში სახელმწიფო და სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამით. სარაჯიშვილის № 14. 93 88 22, 99 08 31

სკოლის მოსწავლეე ბს შევასწავლი ინგლისურს საფუძვლიანად, შეღავათიან ფასებში. ბინაზე მისვლითაც. 96 04 31

- პარკეტი გემბანური;
- პარკეტის გერმანული აქსესუარები.
ტელ: 333560
8(77) 739129

კერძო საბავშვო ბაღი (ქართული, რუსული) მთაწმინდაზე. ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო.
ტელ: 23-25-14. საღამოს შორენა

## სხვადასხვა

შევიძენ სხვადასხვა მოცულობის თერმოპლასტავტომატს. 52 88 09

დაგიმზადებთ ხის კარ-ფანჯარას, შიდა კიბეს, კარადებს ხარისხიანად და შეღავათიან ფასებში. 22 82 26, 8(99) 51 28 44

იყიდება კაკლის ხის საძინებელი "ველენსე", მუხის ხის ტახტი და მაცივარი. 61 30 55

იყიდება წიგნების კარადა. 61 65 04

მოვუვლი ბავშვს. 8(97) 57 47 46

იყიდება ავტოსამრეცხაოებისათვის ცივი და ცხელი წყლის გერმანული წარმოების ავტოსამრეცხაო დანადგარი. ფასი 1 200. 76 73 51, 8(99) 55 85 73

იყიდება გერმანული ველოტრენაჟორი პედლით, სპიდომეტრით და დატვირთვებით. ფასი 150. 76 73 51, 8(99) 55 85 73

იყიდება ასაწყობი ოდა წაბლის ხის მასალის. 8(99) 23 89 74

ვყიდი შეკვეთით გაკეთებულ ფაიფურის ჭაღს 6 სანთლით. 71 14 06

გავყიდე სერვანდი, გაყვა საბუთები. გთხოვთ დამიბრუნოთ, დავითაშვილის I ჩიხი № 7. 92 18 71 მელიქიანი ალუნიკა

ვისესხებ 1000 დოლარს 100 ლარზე 10 ლარის გადახდით. 37 48 58

იყიდება ვიდეოკამერა პანასონიკი "M-3500". 57 25 24, 8(99) 97 25 24

იყიდება ახალი, ჩეხური წარმოების ბროლის ჭაღი. ფასი 220 №. 39 35 80

ვეძებ სამუშაოს მაღალი ანაზღაურებით. სპეციალობით ვარ ავტოინჟინერი და მშენებელ-ინჟინერი. 32 05 48

იყიდება სტომატოლოგიური კაბინეტი "ხირენა" ყველა საჭირო დანადგარებით, ერთად ან ცალ-ცალკე. 22 59 55

ყველაზე იაფად საქართველოში! ოთახების გადაკეთება, ლესვა, ელექტრობა, რემონტი. 8(77) 72 39 41 გივი

იყიდება ელექტროორღანი "იამაჰა" (იაპონია) 2-იარუსიანი კლავიატურით, სხვადასხვა დანიშნულების გადამრთველებით. ფასი 400 $. 99 95 33 გურამი

გაზეთი 24 საათი
უფასო განცხადებების კუპონი
ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვაკანსიები, მომსახურება, სამუშაო, გაცნობა
5.10.02 N-126

# სკანდინავიური კროსვორდი







A5 ანუკი კვაჭაძე

# პირველი გამარჯვება

ანა კორძაია-სამადაშვილი

ჩვენი გაზეთისა და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრის" მიერ გამოცხადებული სილამაზის კონკურსის, "მის ფოტომოდელი 2002"-იგი პირველი ნახევარფინალისტი უკვე გამოვლინდა. ჩვენი გმირების პორტრეტები ექვსი დღის განმავლობაში ამშვენებდა გაზეთის გვერდებს და აი, კვირის ბოლოს, ხმათა უმრავლესობით, ის მშვენიერი გოგონებიდან საუკეთესოდ იქნა აღიარებული.

ანუკი კვაჭაძე თვრამეტი წლისაა. სასაუბროდ მოსულს სადად და გემოვნებით ეცვა. საერთოდ, ჩვენი გამარჯვებულის მომხიბვლელობა მხოლოდ იმით არაა განპირობებული, რაც ღმერთმა მისცა: მომღიმარი და მხიარულია, და მისი გამარჯვების საწინდარი, ალბათ, ეს შინაგანი სილაღეც გახდა.

ანუკი კვაჭაძეს შეიძლება უკვე ვუწოდოთ პროფესიონალი ფოტომოდელი. "იმიჯ-ცენტრში" ის "ამსადან" მოხვდა. თავად მიამბო, რომ იმხანად ხშირად მიდიოდა ხოლმე თავის მეგობრებთან კომპიუტერულ ცენტრში "ჩვენი ეზო", და ვინაიდან ის იმავე შენობაში მდებარეობდა, სადაც "იმიჯ-ცენტრის" მოდელები სწავლობენ, ანუკი მოდელების სააგენტოს ხელმძღვანელმა, ია კიწმარიშვილმა შეამჩნია. გაცნობას - ფოტოსურათების ჩვენება მოჰყვა, და ასე მოხვდა ანუკი "იმიჯ-ცენტრში", შემდგომ კი – ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

როგორც "იმიჯ-ცენტრის" ყველა პერსპექტიულმა მოდელმა, ანუკიმაც სამთვიანი კურსი გაიარა და ახლა მოდელების ძირითად ჯგუფშია. მას ძალიან მოსწონს თავისი საქმე, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მძიმეა და დიდ ძალასა და დროს ითხოვს. მაგალითად, გაზეთისათვის მისი გადაღება დილით დაუწყიათ და ღამის 11 საათზე დაუმთავრებიათ. დამეთანხმებით, ბევრი ვერაფერი სიამოვნებაა გაშეშებული ჯდომა და უკვე დაღლილი ფოტოგრაფების დირექტივების მოსმენა, მაგრამ ანუკი ძალიან კმაყოფილია: შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო. მისი თქმით, ფოტომოდელობისთვის გარეგნობა არ კმარა, დიდი მოთმინება და მონდომებაცაა საჭირო.

როცა საუბარი ოცნებებს შეეხო, - თავისთავად ცხადია, ძირითადად ფოტომოდელის კარიერაზე იყო საუბარი, – ანუკიმ თავისი საქმიანობისათვის ყველაზე სასურველ ქვეყანად საფრანგეთი დაასახელა. საერთოდ, იმის გამო, რომ ფოტომოდელის პროფესიას ჩვენს ქვეყანაში ჯერ-ჯერობით უნდობლობით ეკიდებიან და პერსპექტივებიც დიდად არა ჩანს, ანუკიც ნამდვილად არ იტყოდა უარს საზღვარგარეთ მუშაობაზე.

დღესდღეობით კი ანუკი კვაჭაძე თბილისის სახელმწიფო უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლობს ინგლისურ ენას. მშობლები, ოთხი ძმა და მეგობრები ყველანაირად ცდილობენ მისთვის ხელის შეწყობას და ვერავინ, ვერასოდეს ეტყვის, აბა, ფოტომოდელობა რა პროფესიააო. კონტრაქტის თანახმად, 3 წელი გათხოვების უფლება არა აქვს, და არც ეჩქარება.

მაშ, წარმატება ვუსურვოთ ჩვენს პირველ გამარჯვებულს!




## TV პროგრამა 6 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი "ნიკიტა"
11.50 ველური ბუნება
12.50 მხ.ფილმი
14.35 სიმფსონები
15.05 მხ. ფილმი
17.10 იქს მუტანტები
18.00, 21.00, 23.40კურიერი
18.20 მხ. ფილმი
20.00 მონტელგანო
21.25 ჩვენი ეზო
21.40 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "ლეონი" 8 77 45-79-25 ჟან რენო, ნატალი პორტმანი, "ნეფრიტის მორიელის წყევლა" 8 77 45-79-26 ვუდი ალენი, ჰელენ ჰანტი, "სიყვარული ბრმაა" 8 77 45-79-27 გვინეტ პელტროუ, ჯეკ ბლეკი
23.50 მხ.ფ. "ჰავანა"
01.30 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 "მოამბე"
08.15 მხ. ფილმი "ხელშეუხებელნი"
09.45 მოდი ვიცეკვოთ
10.00 დილის პაემანი
11.05 "ამბები ჩვენზე"
11.35 "მოგზაურობა სასიტყვეთში"
12.05 "სპა"
12.35 ჯაზის საღამო
13.05 მოსკოვი-თბილისი
13.35 დოკ. სერიალი "ტექნოპოლისი"
14.25 "არათბილისური ამბები"
15.00 "საკვირაო გამოფენა"
15.15 სპექტაკლი "მარტოობის ბინადარი"
17.15 მულტსერიალი "პრინცესა ნერი"
17.40 ტელეზღაპარი
18.00 "ტაიმ-აუტი"
18.20 "ჩემპიონი"
18.55 "ეკოდაიჯესტი"
19.25 "ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.30 მინი ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა ლიგის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი: თბილისის "იბერია" - ლატვიის "ოლიმპია"
21.55 "ამბოხენ"
22.25 ტელესერიალი "ფორსაიტების საგა"
23.05 კონცერტი
00.25 "ტაიმ-აუტი"
00.35 მხ. ფილმი "ხვალ ყველანი უკეთ ვიქნებით"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.30 "მადლიანი ცნობა"
09.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
10.00 "ტოროლა"
13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
14.00 "კომედია" მხ.ფ. "ვიოლა კოცნის ყველას"
16.00 "უცნობი"
17.00 მუსიკა
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "ვიდეო-რადიო"
21.00 რომანტიკული მუსიკა
22.00 ინფორმატორი
23.00 "ცენტრი"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "შანხაის ტრიადა".
01.40 ღამურა "საიდუმლო".
03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00 მულტფილმი
19.30 დიზაინი
19.50 მრავალსახეობა
20.30 ვიცი
21.00 მშვიდობით მე-20-ე საუკუნევ
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი "დონ ჟუანი"

### ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება
17.20 საეკლესიო კალენდარი
17.35 საუბრები ბიბლიაზე
19.00 მულტფილმი
20.00 იქ სადაც სიყვარულია
20.20 თავისუფალი მიკროფონი
20.40 მოგზაურობა ბავშვობაში
22.00 "იდენ-ტვ"
22.30 "ევროპა და ევროპელები"
23.30 მსოფლიო სპორტი
00.30 მხ. ფილმი "პატივმოყვარეობის კოცონი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი 08.20, 10.10, 21.55, 00.45 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "ქურდები"
10.20 მხ.ფ. "კოლეჯი".
20.00 მხ.ფ. "უკანასკნელ მომენტში"
22.30 მხ.ფ. "კარტუში"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 ინდ. მხ.ფილმი "მზიური დინასტია"
14.30 მხ.ფ. "ფორესტ გამპი"
17.00 მხ.ფ. "ნილოსის მარგალიტი"
18.50 მხ.ფ. "ბენ გური"
20.30, 00.00 "დღეს"
22.00 მხ.ფ. "ბრონქსის ისტორია"
00.20 მხ.ფ. "კლასი"

### მეცხრე არხი

09.00 "დღის ამბები"
09.20 მუსიკა
09.30 მულტფილმი "ალექსი" მე-16 სერია
10.00, 15.00 "დილა"
11.45 "ევროპის სტადიონებზე"
12.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო"
12.45 საუბრები სტუდიაში
13.40 დოკ. სერიალი "პალიტრა"
14.10 მულტფილმი "თეთრი ეშვი"
16.45 "ქართული ხმები სცენასა და სცენის მიღმა"
17.30 მხ. ფილმი "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"
19.00 მაცაცერა
19.10 მულტფილმი "მხიარული მელოდიები"
19.30 "მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 მუს. ფილმი "ბალეტი სიცოცხლისათვის" ქორეოგრაფი მორის ბეჟარი
22.35 მხ. ფილმი "ნაგიჯები"
00.00 "ქართული ხმები სცენასა და სცენის მიღმა"
00.40 მხ. ფილმი "კიდევ ერთი კარგი რამ"

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 Слово
10.00 მელოდრამა "დონ კიხოტის დაბრუნება"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 სათავგადასავლო ფილმი "ინდიანა ჯონსი: დაკარგული კიდობნის მაძიებელნი"
14.10 მელოდრამა "ნოსტალგია მამაზე"
16.15 მულტფილმი
17.25 ფიმლი-კატასტროფა "შტორმი"
19.30 მხატვრული ფილმი "ქალბატონები იწვევენ კავალერებს"
20.40 მხატვრული ფილმი "ჩარირამა"
22.00, 00.00 "დღეს"
22.30 Новости в воскресенье
22.50 დოკუმეტნური ფილმი
00.30 ისტორიული ფილმი "მარკო პოლო"
03.30 მხატვრული ფილმი "ცუდი სისხლი"

### VII არხი

17.00, 19.30, 01.30 ანონსი
17.15, 21.50 ამინდის პროგნოზი
17.20 ლა-ლა-ლა
18.00 სპორტული პროგრამა -"ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი
18.45 აჩიკუდა (შესვენებისას)
20.00 ავტოტრეკინგი
20.40 სახლიდან გაუსვლელად -ავეჯი
21.00 სპორტული პროგრამა -ევროპული ფეხბურთი -ინგლისის ჩემპიონატი
22.50 სახლიდან გაუსვლელად -აუდიო-ვიდეო-ტელე. ეკრანთან მთელი ოჯახით
23.20 კინოკლუბი -"ლედი ბოსი"
00.50 სახლიდან გაუსვლელად - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
01.30 კინოკლუბი -"ფანფანი" საფრანგეთი

### ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Мультфильм
08.30 Утренняя звезда
09.20 Армейский магазин
09.45, 14.30 Дисней-клуб
10.10 Дог-шоу
11.10 "Непутевые заметки"
11.30 Пока все дома
12.05 Властелин вкуса
12.50 х.ф. "САМАЯ ОБАЯТЕЛЬНАЯ И ПРИВЛЕКАТЕЛЬНАЯ"
15.15 Умницы и умники
15.40 "Ералаш"
15.50 Сериал "Знатоки" . "ПОЖАР"
17.50 Док.сериал "Живая природа"
19.00 Времена
20.05 КВН-2002. Летний кубок
22.25 Боевик "ГОНЩИК"
00.35 Комедия "МНОЖЕСТВЕННОСТЬ"
02.45 Реальная музыка

### РТР

07.20 Комедия "ПРОРЫВ"
08.45 "Дракоша и компания".
09.10 "Русское лото".
10.00 "ТВ Бинго шоу".
10.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ-МОСКВА.
11.15 "Утренняя почта".
11.50 "Городок". Дайджест.
12.20 х.ф."Я РОБКИЙ, НО Я ЛЕЧУСЬ"
14.10 "Парламентский час".
15.00 ВЕСТИ.
15.20 "Комната смеха".
16.10 "Два рояля".
17.00 Футбол. Чемпионат России. "Зенит" (Санкт-Петербург) - ЦСКА.
19.10 х.ф."ГОЛЫЙ ПИСТОЛЕТ"
20.50 "В "Городке".
21.00 ВЕСТИ НЕДЕЛИ.
22.10 "Специальный корреспондент".
22.40 Юбилейный вечер к 75-летию Олега Ефремова.
00.50 х.ф."ОСНОВНОЙ ИНСТИНКТ" (США).
03.20 Теннис. "Кубок Кремля -2002". Финал.

### НТВ

07.45 "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО"
08.30 STAR старт!
09.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 19.00 "Сегодня"
09.05 Муз. комедия "СИЛЬВА"
10.25 "Без рецепта"
11.05 "Фактор страха"
12.05 "Растительная жизнь"
12.40 "Вы будете смеяться!"
13.05 "Профессия - репортер"
13.25 "Служба спасения"
14.05 Комедия "РАССЕЯННЫЙ"
15.45 Вкусные истории
16.05 Своя игра
17.00 "Сегодня" с Ю.Липатовым
17.20, 18.05 Ток-шоу "Принцип "Домино"
19.05 "Совершенно секретно"
19.55 Боевик "ДЕВЯТЬ ЯРДОВ"
22.00 "Намедни"
23.30 Боевик "ЛУЧШИЕ ИЗ ЛУЧШИХ 3. ОБРАТНОГО ПУТИ НЕТ"
01.30 Сериал "ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА"
02.20 Журнал Лиги чемпионов

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფორაციმა"


## წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.